საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 ივლისი, 2015 წელი.

№122 (7767)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

უცხოეთიდან სამშენებლო პროდუქციის შემოტანა არ მოგვიწევს

საპარტნიორო ფონდის ხელშეწყობით რუსთავის გზატკეცილზე თანამედროვე, იტალიური დანადგარებით აღჭურვილი ახალი საწარმო „პანექსი“ აშენდა, რომელმაც მშენებლობისთვის საჭირო ე.წ.სენდვიჩ-პანელების პროდუქცია უნდა აწარმოოს.

გახსნის ცერემონიას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო. მან ახლად აშენებული საწარმო დაათვალიერა. ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია გააიაფებს ინდუსტრიული მშენებლობების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სამშენებელო სექტორის განვითარებას.

„ასეთი სამშენებლო მასალის წარმოება მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, ეს დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სამშენებლო სექტორს. ჩვენს მშენებლებს არ მოუწევთ უცხოეთიდან პროდუქციის შემოტანა. „პანექსის“ პროდუქცია ასევე გავა ექსპორტზე ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში“, – აღნიშნა პრემიერმა.

ე.წ.სენდვიჩ-პანელების პროექტზე მუშაობა საპარტნიორო ფონდმა ადგილობრივ კომპანია ICES-თან ერთად გასული წლის მარტში დაიწყო. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 6 მლნ აშშ დოლარია. ფონდის მონაწილეობა პროექტში 49%-ია. პროდუქციის 60 პროცენტი საქართველოში გაიყიდება, ხოლო დარჩენილი ნაწილი ექსპორტზე გავა. საწარმოო ხაზის დაგეგმილი სიმძლავრე წელიწადში 2.8 მლნ m^2 პანელია.

◎ მათრახული

დამოუკიდებელი მატრაკვეცა

ალეკო ელისაშვილი 13 ივნისის ტრაგედიას ამერიკიდან უჭვრეტდა...

ამ ბოლო ხანს ისე არაფერი გამკვირვებია, როგორც ამ „კავკასიის“ ყოფილი ტელეწამყვანის, აქუს მარჯვენა ხელ-ფეხის, ახლა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის სახეცვალება.

კიდევ კარგი, ღმერთი მაღალია, 13 ივნისს ეს დამოუკიდებელი დეპუტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასეირნობდა და ერთქსესიანთა ქორწინების კანონს იქ შეესწრო, თორემ მშობლიურ თბილისში რომ ყოფილიყო, ეჭვი არ შეგეპაროთ, უსიკვდილოდ ვერეს ხეობაში იქნებოდა მაშველად და, ვინ იცის, იქნებ ღვარცოფს წაერთმია კიდეც იმისი ოპოზიციური თავი ჩვენი დედაქალაქის საკრებულოსთვის.

ეს აზრი სააკაშვილის ყურმოჭრილი მონის, ბოლო ხანს შავად წვერშესული (ბოდიში, წვერმოშვებული!) გიორგი გაბუნიას „არჩევანში“ ამერიკიდან ეს-ეს არის დაბრუნებული (ნეტავი, რა უნდოდა კოლუმბის მიერ აღმოჩენილ კონტინენტზე!) ელისაშვილის ღვარცოფიანმა მონაწილეობამ გამიჩინა.

ეს ჩვენი ნააქუარი და ნაამერიკალი დამოუკიდებელი დეპუტატი ნამდვილ პოლიტიკურ მეწყერსა ჰგავდა. თავისი წაუვალ-წამოუვალი ენაგაკრეფილობის უმღვრივეს ნიაღვარში რამდენჯერმე სასიკვდილოდ აყურყუმელავა ქალაქის მერი დავით ნარმანია, რომლის გადაყენებაც მანამდე არაერთხელ საჯაროდ მოითხოვა საკრებულოს მეორე პოლიტიკურმა „ბოევიკმა“, შუმმა ნაციონალმა ირაკლი აბესაძემ.

დამოუკიდებელო დეპუტატო ალეკო, მესამე პირიდან ახლა პირველ პირზე გადავალ და უშუალოდ მოგმართავ: შე ცარიელ ლაპარაკად ქცეულო გადეპუტატებულო ყოფილო აქუელო, რომ გაიგე, რა უბედურებაც თბილისში ხდებოდა, რატომ არ დაადე თავი და იმ დღესვე თუ არა, მეორე დღე მაინც რატომ არ გადმოფრინდი (მე შენ გეტყვი, შენი ჯიბიდან გქონდა გადახდილი აქეთ-იქით სამგზავრო ბილეთის ფული!).

ასე რომ, შენი ავად გაპოლიტიკურებული და მარტოოდენ კარიერულ წინსვლაზე წყალმიშვებული წისქვილი მხოლოდ და მხოლოდ დემაგოგიას ფქვავს და, ვინც რა უნდა თქვასო, გულის ფიცარზე გაქვს ამოჭრილი:

მართალი გითხრა, დასანანია, რომ ის ძველი ალეკო აღარა ხარ და ძალიან მწყინს, რომ შენი ამომრჩევლები უკვე დამოუკიდებელ მატრაკვეცას და მეტიჩარა დეპუტატს გეძახიან, ისეთს, ერთ ადგილას რომ ვერ ეტევა!.

შენგან ისინი კეთილ საქმეებს მოელოდნენ და არა პოლიტიკურ გამჩვენეობა-ლაქლაქს.

სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო, სწორედ შენზე და შენისთანებზეა ნათქვამი.

ალექსანდრე ელიაშვილი.
ტელემაყურებელი.

მიშა ახლა უკრაინელებს აბოლებს

როგორ გააცურა სააკაშვილმა უკრაინელები ამერიკული ხელფასის ყალბი ცნობით

6

დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპია – იყავი თავისუფალი მანამ, სანამ სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავ

3

პატივი მიაგეს აფხაზეთში დაღუპული მეომრების ხსოვნას

გმირთა მემორიალთან ტამიშის ბრძოლის დროს დაღუპულ ქართველ მეომრებს პატივი მიაგეს. გმირთა მოედანზე გარდაცვლილთათვის პატივის მისაგებად ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი შიხიაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის წევრები, თადარიგის პოლკოვნიკი, ოჩამჩირის შტაბის ყოფილი უფროსი დოდო გუგეშაშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე, ტამიშის ბრძოლის მონაწილეები და სხვა პირები იმყოფებოდნენ.

აქციის მონაწილეებმა გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და სანთლები დაანთეს. ეროვნული გვარდიის კაპელანმა დეკანოზმა მიქაელ კირკიტაძემ გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. გმირთა მემორიალთან ისმოდა საგალობლები და ხალხური სიმღერები, რომელიც ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების ანსამბლ მშვიდობის წევრებმა შეასრულეს.

აფხაზეთში, დაბა ტამიშთან მოწინააღმდეგის მხრიდან საზღვაო დესანტის გადმოსხმის შედეგად გამართული ბრძოლის დაწყებიდან 23 წელი გავიდა. 1992 წლის 2 ივლისს, 05:00 საათზე დაბა ტამიშთან გადმოსხმული დესანტის რაოდენობა 600 კაცს შეადგენდა. გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინდღში განლაგებულმა ქართულმა ნაწილებმა მიიღეს. პირველი დარტყმა დუშეთის ბატალიონმა მიიღო, რის შედეგადაც 52 ქართველი მებრძოლი დაიღუპა. ქართულმა მხარემ რამდენიმედღიანი ბრძოლის შედეგად 300-მდე მებრძოლი დაკარგა. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება შეძლეს, პოზიციები შეინარჩუნეს და საზღვაო დესანტი მთლიანად გაანადგურეს.

რა რისკი ახლავს თან თბილისი 2015-ის ჩატარებას?

10

„მთავარია, საქართველომ სტუმრებს ღირსეულად უმასპინძლოს და ფესტივალისგან მოგებაც მიიღოს“

საქართველო და თურქმენეთი ხელშეკრულებებს აფორმებენ

საქართველოსა და თურქმენეთს შორის 7 ხელშეკრულება გაფორმდა. თურქმენეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ხელმოწერილი დოკუმენტები ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს საქართველოსა და თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიებს

შორის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და თურქმენეთის ფინანსთა სამინისტროს შორის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და თურქმენეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტს შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თურქმენეთის განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ. ასევე გაფორმდა დოკუმენტები საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის კულტურისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ავლაბრის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებასაც.

საქართველოს პრეზიდენტი თურქმენ კოლეგას ჯერ პირისპირ და შემდეგ გაფართოებულ ფორმატში, სახელმწიფო დელეგაციებთან ერთად შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და თურქმენეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს.

საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის გეოპოლიტიკური და ტრანსრეგიონალური პროექტების, სატრანსპორტო და ენერგოდერეფნების საკითხებს. გიორგი მარგველაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტვირთებისა და საქონლის ტრანზიტის სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით, მათ შორის ენერგოშემცველების ტრანსპორტირებისათვის.

თურქმენეთის პრეზიდენტმა ქართველი კოლეგა თურქმენეთის სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

ქარიშხალი ჭიქაში,

ანუ აურზაური ჯერ არნანახი დოკუმენტის გამო

დავით ნარმანიასთვის გაუგებარია, რატომ ატყდა ოპონენტების მხრიდან აჟიოტაჟი დოკუმენტზე, რომელიც ჯერ არ უნახავთ. საუბარია დოკუმენტზე, რომელმაც 13-14 ივნისის სტიქიის დრო დაზარალებულთა დახმარების წესი უნდა განსაზღვროს.

„დოკუმენტი არის მზად, მასში მცირე კორექტივების შეტანა მიმდინარეობს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ატყდა წინასწარ აჟიოტაჟი იმ დოკუმენტზე, რომელიც ჩვენს ოპონენტებს ჯერ არ უნახავთ და, რომელიც დახვეწის პროცესშია. გადავაგზავნით დოკუმენტს საკრებულოში და ნებისმიერ მათგანს ექნება ცივილური ფორმით მოსაზრების გამოთქმის უფლება“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„დოკუმენტში დაზარალებულები კატეგორიებად არიან დაყოფილები, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, რომელთა სახლებიც პრაქტიკულად არ დგას, დაზიანებულია ისეთნაირად, რომ აღდგენას არ ექვემდებარება, ჩვენს მიერ გაკეთებული ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე. მეორე კატეგორია არიან ოჯახები, რომელთა სახლები კოსმეტიკურ რემონტს ექვემდებარება. ამ სახლების რემონტს რაიონული გამგეობები უზრუნველყოფენ“, — აღნიშნა ნარმანიამ.

მისივე თქმით, პროცესი წარიმართება პარალელურად — ერთი მხრივ, პირველი კატეგორიის დაზარალებულების დახმარებას ის რესურსები მოხმარდება, რომელიც ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არის შემოწირული. ეს თანხა დაუხარჯავად დევს ანგარიშზე და ეტაპობრივად ემატება. პარალელურ რეჟიმში გამგეობები აწარმოებენ იმ დაზიანებული სახლების აღდგენას, სადაც მოსახლეობას შევასახლებთ რემონტის დასრულების შემდეგ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა პოლონელი ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი

იან ბრაუნი

საკრებულოები შესყიდვების გეგმას აღარ დაამტკიცებენ

ეს კიდევ ერთი ცვლილებაა, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შედის.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი განმარტავს, აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ შესყიდვების გეგმა არის დინამიკური დოკუმენტი, რომელიც ცვლილებებს ძალიან ხშირ განიცდის.

„საკრებულო ამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს, სადაც ასახულია ყველა ტიპის პროექტი, მაგრამ შესყიდვების გეგმა ცალკე დოკუმენტია, სადაც მოცემულია შესყიდვის ვადები, შესყიდვის ფორმები და ასე შემდეგ. მოიხსნება პროცედურა, რომელიც ეხება შესყიდვების გეგმის დამტკიცებას ან მასში ცვცლილებების შეტანას, რადგან მასში ცვლილებები ყოველკვირეულად ხდება. ამასთან, თუ რომელიმე კონკრეტული შესყიდვა ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 5%-ს აღემატება, მაშინ ასეთ კონკრეტულ შესყიდვაზე საკრებულოს თანხმობა იქნება საჭირო“, — აცხადებს შერგელაშვილი.

◎ ტურიზმი

ტურისტების რაოდენობით 2015 წელი ჯამურად 2014-ზე უკეთესი იქნება

2015 წლის ივნისის თვის მონაცემებით, საქართველოს 496 758 საერთაშორისო ვიზიტიორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,3%-ით მეტია, — ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ სასტუმრო „რუმსში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, მათ შორის იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 197 537 შეადგინა, რაც 3.4%-ით მეტია გასული წლის ივნისთან შედარებით.

მისი თქმით, საფრთხე, რომ თბილისში მომხდარი წყალდიდობა და მსოფლიო მედიაში გავრცელებული დატბორილი ქალაქის კადრები უარყოფით გავლენას მოახდენდა ტურისტების ნაკადზე, დიდი იყო, თუმცა, მასშტაბურმა საერთაშორისო მარკეტინგულმა კამპანიამ დადებითი შედეგი მოიტანა. **„კამპანია გულისხმობს ცხრა მიზნობრივ ბაზარზე ზაფხულის სეზონისთვის საქართველოს რეკლამირებას, ასევე CNN-სა და „ევრონიუსზე“ საიმიჯო რგოლის გაშვებას და ეს კამპანია უკვე დაწყებულია. გარდა ამისა, ვიმუშავეთ სპეციალური გეგმით კრიზისის პერიოდშიც. წყალდიდობის შემდეგ დაიგეგმა პრესტურები, სადაც უცხოელ ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი თვალით ენახათ, რომ მთავრობამ უმოკლეს ვადებში შეძლო აღმოეფხვრა სტიქიის შედეგები. ხორციელდებოდა მუდმივ რეჟიმში ინდივიდუალური კომუნიკაცია ტურისტულ კომპანიებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან“,** — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, 2015 წლის ივნისში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა. მათზე მთლიანი ვიზიტების 86% მოდის. „ივნისის თვეში განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა რუსეთიდან (+47%), სომხეთიდან (+33%) და აზერბაიჯანიდან (+15%). არამეზობელი ქვეყნებიდან გამოირჩეოდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ყაზახეთი (+40%), ბელორუსი (+56%), ისრაელი (+26%) და გაერთიანებული საამიროები, საიდანაც საერთაშორისო ვიზიტორების რეკორდული ზრდა დაფიქსირდა“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, 2015 წელი ჯამურად უკეთესი წელი იქნება, ვიდრე 2014 წელი, რომელიც რეკორდული იყო საქართველოს ისტორიაში ტურისტების რაოდენობის მხრივ. **„ამ ზრდაში ლომის წილი შეიტანა საერთაშორისო აქტივობებმა, რომელსაც ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაცია ახორციელებს. ადმინისტრაცია აგრძელებს აქტიური და კომპლექსური საერთაშორისო აქტივობების განხორციელებას და მომავალ თვეებში საქართველოს კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვევა. ამას მოწმობს ისიც, რომ საერთაშორისო ვიზიტორების ზრდა დაფიქსირდა 6 თვის მონაცემებითაც“,** — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ ამ პერიოდში 2 332 303 შეადგინა, ზრდამ კი 3,5%. 6 თვის მონაცემებით ზრდის კუთხით გამოირჩევა ბელორუსი (+47%), ყაზახეთი (+32%), ლიტვა (+27%), გაერთიანებული სამეფო (+22%) და გერმანია (+18%). აქვე აღსანიშნავია ზრდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან (+12%).

◎ მოგზაურობით, გელით...

ზაფხულის ეკონომიკური პერსპექტივები

რა თანხებს შემოუტანს 3 მნიშვნელოვანი მოვლენა თბილისს

თბილისი ზაფხულის განმავლობაში სამ მასშტაბურ ღონისძიებას უმასპინძლებს. მათ შორის მუსიკალურ ფესტივალ Tbilisi Open Air-ს, რომელიც 3 ივლისს დაიწყება და 7 ივლისამდე გაგრძელდება, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე გაიმართება და 11 აგვისტოს უეფა-ს სუპერთასს, რომელიც თბილისის „დინამო არენაზე“ „ბარსელონასა“ და „სევილიას“ შორის ჩატარდება.

აღნიშნულ ღონისძიებებზე დასასწრებად თბილისში ათასობით სტუმარს ელოდებიან. მხოლოდ Tbilisi Open Air-ზე დასასწრები ბილეთები უკვე ათასობით უცხოელმა იყიდა. **„ხუთი დღის განმავლობაში ველოდებით 50 000 ადამიანს, ზუსტ რიცხვს ვერ გეტყვით, თუ რამდენი უცხოელი იქნება აქედან, მაგრამ საუბარია რამდენიმე ათასზე. განსაკუთრებით დიდი აქტიურობა შეინიშნება სომხეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან“,** — აღნიშნა ფესტივალის მედიამენეჯერმა სოფო ებრალიძემ.

ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება იქნება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალიც, რომელშიც მონაწილეობას 3 500-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს. ოლიმპიადისთვის მზადება თითქმის უკვე დასრულებულია. ყველა სპორტული ობიექტი მზადაა. ბევრ ობიექტზე სატესტო შეჯიბრებები უკვე ჩატარდა. ამჟამად მიმდინარეობს უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება. გრანდიოზული გახსნა 26 ივლისს მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება. ამ ღონისძიებაზე ჩამომსვლელ უცხოელ ტურისტთა ზუსტი რიცხვი უცნობია, თუმცა, აქაც საუბარია ათასობით ადამიანზე. **„დარეგისტრირებულია 3 500 სპორტსმენი და ველოდებით, რომ ეს რიცხვი საერთო ჯამში დაახლოებით 3 800-მდე გაიზრდება. ხოლო სპორტსმენებისა და მათი თანმხლები პირების საერთო რაოდენობა 7 000-ს მიაღწევს. უცხოელი ტურისტების ზუსტ რაოდენობას ვერ გეტყვით“,** — აღნიშნა საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ლიზა ვადაჭკორიამ.

რაც შეეხება უეფა-ს სუპერთასის ფინალს, როგორც ცნობილია, მას 6 000 უცხოელი გულშემატკივარი დაესწრება.

რა ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნება სამი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება თბილისისთვის? ექსპერტ ვატო ასატაშვილის მოსაზრებით, ეს დედაქალაქის მოსახლეობისთვის საკმაოდ მომგებიანი იქნება. **„ეს იქნება საკმაოდ დიდი შემოსავალი ქალაქისთვის და არამარტო. ეს იქნება ასევე საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი. მცირე და საშუალო ბიზნესში მოიაზრება ღამისთევის დაწესებულებები, რესტორნები, კაფეები და ტრანსპორტი და გადაზიდვა, ტაქსები და მცირე ზომის კომპანიები, რომელიც გადაადგილების სერვისს სთავაზობენ მომხმარებელს. როგორც იცით, გასულ თვეს გვქონდა EBRD-ის ღონისძიება და ვნახეთ, რომ ამან საკმაოდ დიდი შემოსავალი მოიტანა“,** — აღნიშნა „ამბები.გე“-სთან საუბრისას ვატო ასატაშვილმა.

თუმცა, მსგავსი მასშტაბის ღონისძიებების ჩატარება სარგებელთან ერთად ხარჯებსაც უკავშირდება. Tbilisi Open Air-ის წარმდგენი კომპანია „ჰუალინგ ჯგუფია“, ფესტივალს ჰყავს ასევე სპონსორები. ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ ეს ღონისძიება სახელმწიფოს თანხების ხარჯვას უკავშირდება განსხვავებით ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადისგან. ოლიმპიადა, რომლის ორგანიზატორიც თბილისის მერიაა, საკმაოდ ძვირი დაუჯდა ბიუჯეტს, აშენდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. თუმცა, ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ეს ქვეყნის იმიჯისთვის აუცილებელია.

თამთა ჯიჯავაძე
AMBEBI.GE

„დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპია – იყავი თავისუფალი მანამ, სანამ სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავ“



პირველი იმპერატორი იყო ნერონი, რომელმაც თავის მონა მამაკაცზე იქორწინა და ეს ფაქტი ძველ რომში არ ყოფილა სენსაციური მოვლენა. თუმცა თანამედროვე სამყაროში, სადაც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის ისტორიული ბრძოლა მიმდინარეობს და, სადაც ქრისტიანთა რიცხვი დღითი დღე მცირდება (ცივილიზებულ ქვეყნებში უარს ამბობენ მრავალშვილიანობაზე), ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ამ ადამიანებს რეპროდუქციული უნარი არ ექნებათ.

საათ მიდის „ცივილიზებული“ კაცობრიობა? ამ თემაზე For.ge ფსიქოლოგსა და ექსპერტს პოლიტიკის საკითხებში რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— სკეპტიკოსების აზრი, რომ ერთსქესიანი ქორწინება მხოლოდ რამდენიმე წყვილს მოუნდებოდა, არ გამართლდა. ჰოლანდიაში ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებიდან სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში 1000-მდე ასეთი ოჯახი შეიქმნა, დღეს კი აშშ-მაც დააკანონა ეს ქორწინება და ამ წყვილებს ბავშვის აყვანის უფლებაც მიეცათ. ლგბტ პირთა აქციის დროს თქვენი ერთ-ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ ჯერ კიდევ ლაბილური, მერყევი ფსიქიკის მქონე ზოგიერთი მოზარდი, რომელიც ორჭოფობს, საბოლოოდ რა გზას დაადგეს, მსგავსი აღლუმების შემდეგ ლგბტ პირთა რიგებს შეუერთდება, რადგან ეს საქციელი თურმე არ ყოფილა დასაძრახისი. ასე რომ, ჰომოსექსუალიზმს არა მხოლოდ ბიოლოგიური და ჰორმონალური საფუძველი აქვს, არამედ ფსიქოლოგიურ მიმბაძველობასაც მიუძღვის გარკვეული როლი ადამიანის ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. რატომ გახდა აუცილებელი ამ ურთიერთობების დაკანონება?

— ერთ რამეს დავუმეტებდი, კაცობრიობის ისტორიას არც ერთი ეტაპი არ ახსოვს, სადაც ამ ტიპის მოვლენები არ ყოფილიყო. არც ერთი ქვეყნის ისტორია ამისგან დაზღვეული არ ყოფილა. ზოგან ეს იყო დაკანონებული, რადგან ნორმალურ ცხოვრების წესში შედიოდა, ზოგან იყო დევნა, ოღონდ ამით რეალობა არ იცვლებოდა და ასეთი ადამიანები მაინც არსებობდნენ, რადგან ბუნება თავისას აკეთებდა, მაგრამ, პრინციპში, მე არ მახსენდება ისეთი ეტაპი, რომ ლგბტ თემას იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონოდეს, რაც დღეს ხდება. ანუ, თუ დემოკრატი ხარ, მაშინ თურმე, რაც შეიძლება, მკაფიოდ უნდა გამოხატო შენი დადებითი დამოკიდებულება, მე ვიტყოდი, ამ უბედური ადამიანების მიმართ. სწორედ იდეოლოგიური დატვირთვის ჟღერადობა მიიღო ერთსქესიანთა ქორწინებამ თანამედროვე მსოფლიოში. არა მგონია, ეს ჟღერადობა, საბოლოო ჯამში, გამართლებული აღმოჩნდეს მარტო იმიტომ, რომ ერთსქესიანთა ქორწინება ამერიკამ დაიკანონა. ამერიკის და ყველა ქვეყნის სინამდვილეშიც ბევრჯერ მომხდარა, რომ პირველ მიახლოებაზე სულ სხვა წესით მოქმედებდნენ და მერე აღმოუჩენიათ, თურმე ეს არ ყოფილა მიზანშეწონილიო. ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობამ თავის დროზე არსებობა სისხლის აღრევით დაიწყო, მაგრამ მერე აღმოაჩინეს, რომ ამას მძიმე შედეგები აქვს და შემოიტანეს ნორმები, რომელმაც ეს მხარე მოწესრიგება. ამიტომ, სანამ პრობლემები არ გაჩნდება, იქამდე რაღაც განწყობილებებს მოაქვთ ლგბტ-ეობის მოდა და ითვლება, რომ პიროვნების თავისუფლებასთან არის ეს კავშირში. მსოფლიოში გვაქვს ისეთი კულტურებიც, სადაც ასეთი ნორმა შემოსატანია, რადგან ლგბტ პირებზე დევნაა გამოცხადებული, მაგრამ, თუ ასეთი დევნა არ არის გამოცხადებული ცალკეულ კულტურებში და ლგბტ პირთა უფლებები არ იზღუდება, მაშინ დამატებითი დაცვა და, მით უმეტეს, ერთსქესიანთა ქორწინების ელემენტის შემოტანა რაღა საჭიროა? ეს შეიძლება აღმოჩნდეს ბიძგი ისეთი პროცესების მიმართ, რომლის საბოლოო შედეგებიც დღეს არ ჩანს.

— მით უმეტეს, ამ წყვილებს შვილის აყვანის უფლებაც მიეცათ. ერთსქესიანი ქორწინების მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ჰომოსექსუალები ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის ნორმალურ გარემოში აღზრდას, მაგრამ ლგბტ აქტივისტები ირწმუნებიან, რომ დღესდღეობით ამერიკაში ათასობით ბავშვია, რომელსაც ზრდიან ლესბოსელები და ჰომოსექსუალები და ბავშვებზე ძალადობის შემთხვევა თურმე არ დაფიქსირებულა.

— გეთანხმებით, იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ისინი გაზრდიან, როგორი იქნება მომავალი, უცნობია.

— ამბობენ, აშშ-ის მესამე პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა ჰომოექსუალიზმი გაუპატიურების ტოლფას დანაშაულად ცნო და ამ ორ დანაშაულს ერთნაირი სასჯელი დაუწესა. ასე რომ, ამერიკა სხვაგვარიც ყოფილა თავის დროზე.

— ამერიკა არა მარტო თავის დროზე იყო სხვადასხვაგვარი, არამედ ახლაც, იმისდა მიხედვით, რესპუბლიკელი ლაპარაკობს თუ დემოკრატი, ამერიკა სხვადასხვანაირი იქნება მაგ საკითხშიც. იდეოლოგიური კონიუნქტურის თემა გახდა ეს თემა. კიდევ ერთი რამეა გასათვალისწინებელი, - ჩვენ, ყველანი, შევდივართ საკმაოდ რთულ ეპოქაში. უპირველეს ყოვლისა, ამერიკაშიც უჭირთ ხოლმე ამაზე დაფიქრება. კერძოდ, შევდივართ იმ ეპოქაში, სადაც ევროპული ცივილიზაცია შეიძლება დაპირისპირებული აღმოჩნდეს არაევროპულ ცივილიზაციასთან. ამ არაევროპულ ცივილიზაციებში გარკვეული დამოკიდებულებაა ლგბტ თემის მიმართ. გარდა ამისა, არაევროპულ ცივილიზაციებში დემოგრაფიული ტენდენციები სხვანაირია, ვიდრე ევროპულში, იმდენად, რომ ევროპული ცივილიზაცია დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგება. ამ დაპირისპირების ფონზე ამ თემის ასეთი პედალირება და შეიძლება ითქვას, მოდის განმტკიცება იმაში, რომ, არიქა, ლგბტ საზოგადოება უნდა განვითარდესო, შეიძლება, პერსპექტივის თვალსაზრისით, ძალზე სახიფათო აღმოჩნდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღეს ბევრი ევროპელი მიდის იმავე ისლამურ სახელმწიფოებში და იბრძვის, რადგან მას ევროპული ცივილიზაცია არ მოსწონს და მიაჩნია, რომ ის ბუნებრივ პროცესებს უარყოფს და მორალის დაკარგვას ქადაგებს. ასე რომ, თვითონ ევროპელებშია პროტესტი ამ პროცესების დაკანონების მიმართ. გაიხსენეთ, საფრანგეთში ამასთან დაკავშირებით რამხელა დემონსტრაცია იყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები არ აყვებიან ამ ტენდენციას და თვითონ დასავლეთის ქვეყნებშიც აღმოჩნდება ძალზე დიდი რაოდენობით ხალხი, რომლებიც ევროპულ ცივილიზაციაზე იტყვიან უარს, რადგან ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი კომპონენტი იქნება ასეთი თვითნებობა. ღირს კი ეს თემა იმად, რომ მსოფლიოსთვის ასეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში ერთსქესიანთა თემის გამო წამგებიანი პოზიცია დაიკავოს ევროპამ?

— არაევროპული ცივილიზაცია ახსენეთ და თურქეთი, რომელიც ევროპის ნაწილად გახდომას ცდილობს, მაინც ავლენს მკაცრ დამოკიდებულებას ლგბტ პირთა მიმართ. გუშინწინ სტამბოლში ლგბტ აქტივისტების მსვლელობა პოლიციამ წყლის ჭავლისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაშალა იმის მიუხედავად, რომ თურქეთში ლგბტ ურთიერთობები უკანონოდ არ ითვლება. რისთვის აწყობს დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოს ხელოვნურად შექმნილი ასეთი დაპირისპირებები?

— ზუსტად ეს არის გაუგებარი, რატომ იხდის დასაპირისპირებლად ევროპული ცივილიზაცია თავს?! რაც შეეხება იმ საკითხს, რაც თქვენ ბრძანეთ, რომ ერთსქესიანთა ქორწინებას თავს ხომ არ მოგვახვევენ, ვფიქრობ, თუ თავს არ მოგვახვევენ და დაინახავენ იმ უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯებს, რაც ქართულ კულტურას თავისი დიდი ასაკისა და გამოცდილების გამო აქვს გადადგმული, კარგი იქნება. ჩვენში არათუ სხვა ნაციის ან სხვა რელიგიის დევნა არ ყოფილა, არამედ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მომხრეთა დევნაც არ გვახსოვს, ისე გავიარეთ ეს უზარმაზარი ისტორია. ამ ფონზე, არა მგონია, საქართველო საჭიროებდეს ჭკუის სწავლებას. პირიქით, თუკი დასავლეთი სხვა ხალხის კულტურებში ეცდება, რომ მოძებნოს ამ რთული საკითხიდან გამოსავალი, რაც ისტორიულად ამა თუ იმ ერს თავისებურად მოუგვარებია, მე მგონი, პრობლემის გადაჭრისთვის უკეთესი იქნება, ვიდრე წმინდა ევროპული გზით სიარული რომ უნდათ და თურმე უნდა დაქორწინდნენ კიდეც. „უნდათ და ისე იქცევიან, როგორც უნდათ“- ეს დემოკრატიის გაგების ქვეშ თითქოს თავსდება, მაგრამ, ამავე დროს, ანტიდემოკრატიულია, რადგან დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპია, „იყავი თავისუფალი მანამდე, სანამ სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავ“. თუკი აღმოჩნდება, რომ სექსუალური თავისუფლება ფსიქოლოგიურად ზღუდავს სხვის თავისუფლებას, ანუ ეს შეთავაზებაა ახალგაზრდობისთვის ამ ტიპის ორიენტაციისთვის, ეს უკვე სხვის თავისუფლებაზე ახდენს ზეგავლენას. აქ მთელი რიგი ფსიქოლოგიური მეთოდებია, ეს ზეგავლენის მეთოდებია. ანალოგიურად, ნებისმიერი სარეკლამო, პიარ-ელემენტის შემცველი ნაბიჯი სხვის თავისუფლებას ზღუდავს. როდის კაცობრიობა დაფიქრდება იმაზე, რომ ერთნაირად ანტიდემოკრატიულია როგორც ცოდვის აღება და ლგბტ პირთა დევნა-დაშინება, ისე ლგბტ-თა მიერ სხვა ადამიანებზე ფსიქოლოგიური ძალის გამოყენება?! ამის ლოდინი, შეიძლება, ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, რადგან შედეგი უფრო ადრე დადგეს.

— ვერ ვიტყვით, რომ წარმომავლობის მიხედვით, ობამა ტიპური დასავლელი ლიდერია. იგი კენიელი მამის და ამერიკელი დედის ოჯახშია დაბადებული და ჰავაიზე გაუტარებია ბავშვობის წლები. რატომ შეიცვალა მან პოზიცია ერთსქესიანთა მიმართ? დღეს უკვე კეთდება ხმამაღალი შეფასებები, რომ რაც ამერიკისთვის გამარჯვებაა, ის სამყაროსთვის დასასრულის დასაწყისია. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ვერ ვიტყოდი იმას, რომ რაც ამერიკისთვის გამარჯვებაა, ის სამყაროსთვის დასასრულის დასაწყისია. ბევრი რამ აქვს წამოწყებული ამერიკას, რომლის გამარჯვებაც ყველასთვის აშკარაა. მოდით, ცოტა კაცთმოყვარე ფორმულირება შევთავაზოთ მკითხველს — ამერიკა არ არის უცოდველი, მან შეიძლება დაუშვას შეცდომები, მაგრამ მისი შეცდომები ძალზე ძვირი ჯდება ხოლმე. არც ისე შორეული წარსულია, როცა ამერიკაში განსხვავებული ფერის გამო მოჰკიდებდნენ ადამიანს ხელს და ჩამოჰკიდებდნენ ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. ესეც ამერიკა იყო, ასე რომ, ავტომატურად გადაღება, რომ ამერიკა ყველაფერში სწორია, დამღუპველია და მერე აჩენს საწინააღმდეგო ტენდენციას, რომ ამერიკა დამღუპველია. ამ ფრაზის ცოდვა უფრო იმათ კისერზეა, ვინც იძახის, ამერიკა სწორიაო. ეს აღიზიანებს მათ, ვინც ამერიკაში შეცდომებსაც ხედავს. ამიტომ, ვისაც ამერიკული კულტურის პროპაგანდა უნდა, ალბათ, უკეთესი იქნება, ქართველებს დაანახოს ამერიკა როგორც თავისი შეცდომებით, ისე — სწორი ნაბიჯებით. ეს უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე მხოლოდ იმის ძახილი, რომ ამერიკა თურმე უშეცდომოა. ეს გამაღიზიანებელია.

ახლა აპირებენ, ჩვენს კონსტიტუციაში ახალი ნორმა შემოვიდეს და ჩაიწეროს, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობლიობაა. კონსტიტუციები, პარლამენტები და კანონები დროებითი მოვლენაა და ძალზე ხშირად იმ განწყობილებებს აყვებიან ხოლმე, რაც იმ პერიოდშია გამეფებული. ამ შემთხვევაში, ჩვენში გამეფებულია არა იმდენად ლგბტ პირთა მიმართ დამოკიდებულება, რამდენადაც დასავლეთის დაბეჯითებით დარწმუნება, რომ, არიქა, ჩვენც ევროპელები ვართ. ამდენად, დასავლეთთან თავმოწონების გამო შეიძლება, არასწორი ნაბიჯები გადადგან დღევანდელმა ჩვენმა პოლიტიკოსებმა.

მანანა ნოზაძე

◎ პოზიცია

ეს ძალიან სახიფათო, საგანგაშო და ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია!

მსახიობი **მიშა გომიაშვილი** სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს, სადაც ლგბტ საზოგადოების იდეოლოგიის შესახებ წერს:



„ჯერ ითხოვდნენ მხოლოდ ტოლერანტობას !!!

როგორც კი გეებმა მოახერხეს, მიეღწიათ საზოგადოებისგან მაღალი დონის ტოლერანტობისთვის, ახლა უკვე ითხოვენ თანასწორობას!!! ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას... შემდეგ მოგვთხოვენ არა მარტო აღიარებას, არამედ ხელი შევუწყოთ მათი „კულტურის ღირებულებებს“ !!! შემდეგ მოგვთხოვენ იძულებით მონაწილეობას!!!... აი მერე უკვე დასჯას !!! ყველა ,ვინც არ ეთანხმება გეების „იდეოლოგიას“, დაისჯება...

თუმცა, რაც შეეხება დასჯას, ჩემს მიმართ უკვე გაისმა მოთხოვნები და მუქარა „იდენტობის“ და მათი ლიდერის მხრიდან — „მოვუწოდებთ ყველა დამსაქმებელს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ბატონ გომიაშვილთან ყოველგვარი თანამშრომლობა იქამდე, სანამ ის არ გააცნობიერებს ადამიანთა და უპირველესად, საკუთარი ლგბტ კოლეგების წინააღმდეგ გადმონთხეული სიძულვილის მავნებლობას.- (სად მოისმინეს ან ამოიკითხეს ჩემს მიერ ადამიანთა წინააღმდეგ გადმონთხეული სიძულვილის მავნებლობა)...

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზრუნებთ იმაზე, რომ მისი ნებისმიერ დამსაქმებლისთვის ამიერიდან შეუძლებელი გახდეს ჰომოფობი დასის წევრებთან ერთად „გარყვნილ დასავლეთში“ გასტროლებით ტკბობა. ამიერიდან, ბატონ გომიაშვილსაც შეეძლება მსხვერპლად წარმოაჩინოს თავი“.

— თუ გამოთქვი შენი აზრი, რომელიც გეების მოსაწონი არ არის, მაშინ ეს მათი დისკრიმინაციაა... მათ უფლებებს ზღუდავ... და თურმე მათ აქვთ უფლება, დაგემუქრონ, მოუწოდონ, რომ შენთან ყველა დამსაქმებელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყოველგვარი თანამშრომლობა... მოგაყენონ შეურაცხყოფა...(თუმცა ამას რატომაც აკეთებენ, გასაგებია, უნდათ გამოგიწვიონ, რომ შემდეგ ამაზე ატეხონ ბზუილი)...

ეს რომ მარტო მე მეხებოდეს, რამენაირად გადავიტან... პირადად ჩემთვის ეს კოღოს ნაკბენზე ნაკლები დისკომფორტია... მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ ეს ყველაფერი, გეების იდეოლოგიას ვგულისხმობ, ასე თავის ნებაზე არ უნდა იყოს მიშვებული, ეს ძალზე სახიფათო, საგანგაშო და ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია და გამანადგურებელი !!!

ვინ ვის მისცემს უკანალს და ვინ ვიზე დაქორწინდება, ეს მხოლოდ ის არის, რაც ზედაპირზე ჩანს... მთავარი კი ის მანიფესტია, რომელიც შეადგინა მათმა სულიერმა ლიდერმა მაიკლ სვიფტმა ჯერ კიდევ 1987 წელს, ეს მანიფესტი წარმოადგენს ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი სიძულვილისა და მტრობის, ამ პირების ადამიანური ღირსების დამცირებისა და მათი მისამართით აღვირახსნილი შეურაცხყოფის, მათი ფიზიკური განადგურებისკენ მოწოდებებს!

აი, ეს არის მათი მიზანი და მათი რეალური სახე...“ — წერს გომიაშვილი.

წერილი ხელისუფლებას

უფუნქციო, გაუმართლებელი

„გიყვარდეს ის, ვინც გირჩევს, და არა ის, ვინც გაძებს“

ბალზაკი

აქსიომაა, რომ ქვეყნის წარმატებული, ეფექტური საქმიანობა დიდწილად განპირობებულია კვალიფიციური კადრებით, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების შეთანაწყობილი საქმიანობით. თეატრი რომ თეატრია, თუ მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და აღმასრულებელი დირექტორი ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და თეატრს სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებიან, მაშინ დასის წევრთა დონის მიუხედავად, მისი ბედი განწირულია, ის აბსურდის თეატრად გადაიქცევა!

ახლა კი, მთავარი სათქმელი.

გვაინტერესებს, ვის მოაფიქრდა სახელმწიფოს მართვის კიდევ ერთი, ახალი, ჯერ არნახული და არგაგონილი სტრუქტურული ერთეულის –- „მთის“ სამინისტროს შექმნის იდეა. იმის გამო, რომ ვერავითარი საგაზეთო სტატიის ფორმატი ვერ აიტანს ამ თემაზე დეტალურ მსჯელობას, ხელისუფლების შესაბამისი რანგის წარმომადგენლებს ვიწვევთ ნებისმიერ ტელეეთერში საპოლემიკოდ, რათა, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით, საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი ხელისუფლების ახალი განზრახვა.

შემოთავაზებული დებატის იდეამ სასურველი შედეგი რომ გამოიღოს, ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს, წინასწარ გავაცნობთ ჩვენს რამდენიმე შეკითხვას.

1. გაქვთ თუ არა ნაფიქრი და დამუშავებული „მთის“ სამინისტროს დებულება, სტრუქტურა და უფლებამოვალეობანი?

2. გვაინტერესებს, იცით თუ არა რამდენი დიდი და პატარა მდინარეა საქართველოში? რას უდრის მათი საერთო სიგრძე? რამდენი ჩაედინება შავ ზღვაში და რამდენი კასპიის ზღვაში? რამდენი ტბაა ჩვენს ქვეყანაში და რას უდრის მათი სარკის ზედაპირის ფართობები? რამდენი მყინვარია საქართველოში? რამდენია მეწყერსაშიში ტერიტორიისა და ჭარბტენიანი მიწის ფართობები? ქვეყნის საერთო ტერიტორიაში, რა წილი უჭირავს მთებს, მთისწინებს და დაბლობებს? და სხვ. ამ შეკითხვებზე სათანადო პასუხი თუ გაქვთ, მაშინ რატომ აქამდე არ მოგივიდათ მდინარეების, ტბების, ჭაობების, მეწყერების, ღვარცოფების, მყინვარების და სხვა სამინისტროების შექმნის იდეა?

4. „მთის“ სამინისტროს შექმნის შემთხვევაში იქაურ დასახლებებში განათლების, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის, დემოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, სპორტის, დასაქმების, ენერგეტიკისა და სხვა უამრავი პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობა ამ ახალ სამინისტროს დაეკისრება თუ არა? თუ არა და, რა შუაშია „ორი სათაური“?

5. იმის გამო, რომ ქვეყანაში აღარ არსებობს კვალიფიციური გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო მართვის ისეთი სტრუქტურები, როგორებიც იყო მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწათმოწყობის ინსტიტუტი, ნიადაგის კვლევის ლაბორატორია, მიწათმომწყობთა კადრების მომზადების უმაღლესი სასწავლებელი და ა.შ. ხელისუფლება არ ფლობს ინფორმაციას, თუ რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში; რამდენია მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით; რა ტენდენციაა მიწების მეორადი დაჭაობების, პირობითი გაუდაბნოების, ეროზიული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების მიმართულებებით? აცნობიერებთ თუ არა ჩამოთვლილი პრობლემების აქტუალობას და შემდგომი მოქმედების რა პროგრამა გაქვთ დამუშავებული ამ თვალსაზრისით?

შემოთავაზებული დებატების შედეგების მიუხედავად, ჩვენ, ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის გამოცდილების სპეციალისტებს, მიგვაჩნია, რომ ამდენი უფუნქციო, თითიდან გამოწოვილი, ვიღაც-ვიღაცების დასაქმების მიზნით შექმნილი სამინისტროებისა და სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების უფუნქციო სტრუქტურების ფონზე, ახალი, ვითომ სამინისტროს შექმნა მიგვაჩნია ყოვლად გაუმართლებლად!

ანზორ ბაბუხადია,
ანზორ მესხიშვილი.

ფიქრები მოვლენის შემდეგ

ქალაქის ქუჩებში მტაცებლები დადიან!..

ეს რა დღეები დაგვიდგა, შეუძლებელია სიტყვებმა იტვირთონ და გადმოსცენ ის ფსიქოლოგიური განწყობა, რაც დედაქალაქელებს გვქონდა და არა მარტო დედაქალაქელებს, მთელ საქართველოს... ეს განწყობა, ალბათ, კარგა ხანს გაგვყვება. აი, რა ყოფილა ეკოლოგიური კატასტროფა, მიწის ზედაპირიდან თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე ავარდნილი წყალი, რომელმაც საოცარი სისწრაფით წარიტაცა ვერეს ჭალაში მცხოვრებთა მანქანები... ჰმ, მანქანებს ვინ დაეძებს, სახლებიც კი, და ყოველივე ამასაც ვინ დაეძებდა, ამ მოულოდნელ ღვარცოფს ადამიანების სიცოცხლე რომ არ წაელეკა.

სახლში ვიყავი და აივანზეც ვერ გავედი, ისეთი თავსხმა წამოვიდა ზეციდან. არა, ეს წვიმა არ იყო. ასე მეგონა, რაღაც ბოროტმა ქარბორბალამ ზღვა ზეცაში ასტყორცნა და ასე დაყირავებული იგი, ახლა თავზე ჩამოგვექცა... ზემოდან მხოლოდ წყალი ჩანდა და ჭექა-ქუხილის გამაყრუებელი ხმა გვესმოდა. ვაი იმას, ვინც ახლა ქუჩაში არის-მეთქი, – გავიფიქრე. რა ვიცოდი, რა დიდი უბედურება ტრიალებდა თურმე, აგერ, აქვე, ვაკის უბანს მიმდებარე ხეობაში... დილით თავად ვაკის პარკშიც დაგვახვედრა თითქოს უკვე ცამცხრალმა და დამშვიდებულმა ბუნებამ უცნაური სურათი: ჩანჩქერი მოთქრიალებდა უცნობი ჯარისკაცის საფლავის ზემოთ, მთაზე აღმართული არქიტექტურული კონსტრუქციის მიდამოებიდან. მერე დავინახეთ, რომ ეს ჩანჩქერი უფრო ზემოდან – კუს ტბიდან, რამდენიმე შენაკადად მოედინებოდა პარკის მთელ ტერიტორიაზე, მოჰქონდა ქვა, ღორღი, შლამი და ფარავდა როგორც მოპირკეთებულ გზებს და გასუფთავებულ სკვერებს, ასევე სანიაღვრე არხებს. პირველი ნამდვილად არ არის, როცა დიდი წვიმისა და ქარისაგან პარკი იტბორება, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო, მსგავსი არაფერი გვინახავს!.. წყალმა, სილამ და ქვაღორღმა განსაკუთრებით სვანიძის ქუჩა ჩამორეცხა, სწორედ ის ადგილი, სადაც ადრე სოსისების ქარხანა „ვაკე“, სიმინდისა და ხორბლის წისქვილები იყო, შემდგომ კი ელიზბარაშვილებმა სხვადასხვა საწარმოები დააშენეს და უკვე ყველასათვის ცნობილი და ყველასაგან მოწონებული ძაღლების თავშესაფარიც გამართეს და ყოველივე ამით მრავალი ათეული ადამიანიც ჰყავდათ დასაქმებული. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, თუ რა საოცარი იყო თამაზ ელიზბარაშვილის რუდუნება, ქველმოქმედება და სიყვარული ძაღლებისადმი, ზოგადად ცხოველებისადმი. მას შემდეგ, რაც ამ ადამიანმა ეს კეთილშობილური საქმე წამოიწყო, ქალაქში, კერძოდ, ვაკის მიდამოებში ჯგუფ-ჯგუფად მოხეტიალე ძაღლები, რომლებიც მოქალაქეებს მართლაც, რომ საფრთხეს უქმნიდნენ, არ შეგვიმჩნევია. ახლა კი ყველაფერი მოსრა გამძვინვარებულმა სტიქიამ და რამოდენა ზარალი მოუტანა ქალაქს. ქონება კი არადა, სიცოცხლე წაართვა ადამიანებს!..

ზოოპარკი კი მხოლოდ კი არ დატბორა, წალეკა მოვარდნილმა მეწყერმა და წყალმა, გაატიალა იქაურობა, ჩასილა და ჩაამიწა ცხოველები. სულ ცოტა მათგანი გადაურჩა იმ საშინელ ღვარცოფს, იშვიათი სახეობის მტაცებელ ცხოველთაგან სამად სამი ვერ იპოვეს ვერც ცოცხლებში და ვერც დაღუპულებში. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქალაქში. აჟიოტაჟი კი არადა – პანიკა. ქუჩებში ვეფხვები და აფთრები დადიანო, – დაფრთხა ხალხი. იმ სასწაული და შემაძრწუნებელი შემთხვევის შემდეგ, რაც ყოფილი აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიაზე მოხდა , რომელიღაც სათავსოში შემალულმა ვეფხვმა ყველასაგან მოულოდნელად რომ ახალგაზრდა კაცი დაგლიჯა, ისედაც შეშინებული მცხოვრებნი საგონებელში ჩააგდო. ყოველ ქუჩაზე, ყოველი ბუჩქის უკან ნადირი ელანდებოდათ, ღრიალიც კი ესმოდათ და ჰმ, სურათებსაც უღებდნენ აღრენილ ცხოველებს...

არც ღრიალი მესმოდა და არც პირდაღებული ნადირი მომლანდებია. გათანგული ვიყავი ბუნებაში მომხდარი იმ შავი კატასტროფით, ზოოპარკის მზრუნველი მუშაკებისა და იმ უმშვენიერესი ახალგაზრდების დაღუპვა რომ გამოიწვია, ხალხს რომ კარ-მიდამო წაართვა და მარტო სვანიძისა და წყნეთის ქუჩები, ახალდაბელი გლეხები კი არადა, მთელი საქართველო აზარალა... მათი ჭირის გამზიარებლები ჩვენ - ხალხი ვართ, მათი საცხოვრებლების წალეკვით ქართველი ხალხის ბიუჯეტს მოაკლდა. რა დიდი ცოდნა უნდა იმას, ჩვენი მოსახლეობის რომელიმე ნაწილის დაქცევა და გაჭირვება მთელი საქართველოს ჭირი რომ არის!..

უბედურება თავს ცამეტ ივნისს, ღამით დაგვატყდა. იმავ წუთიდან მთელი ქალაქი ფეხზე დადგა და დღემდე გრძელდება მცირედისა თუ ბევრის მქონე ქველმოქმედთა ფულით, სასურსათო თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით დაზარალებულთა მომარაგება. სამაგალითოდ მოიქცა ჩვენი ახალგაზრდობა, ანუ მოიქცა ისე, როგორც ჭირ-ვარამში გამოზრდილ ჩვენს მომავალ თაობას ეკადრება. გასაკვირი აქ არაფერია, გასაკვირია მხოლოდ ერთი რამ: მთავრობის განსაკუთრებით გამორჩეული თანადგომა, ერთგულება, მართლაც რომ გულითადი (შეიძლება, ორგანიზებულიც...) ჩართვა წყალწაღებული, გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად. ეს რომ ასეა, ამას, მართალია, ოპოზიციონერი პარტიები არა, მაგრამ, დაზარალებულები ნამდვილად დაგვიდასტურებენ. მე კი, ჩემი მხრივ, სხვა დროის მთავრობებისაგან ასეთ,ზედმიწევნით სიკეთეს მიუჩვეველს, მიხარია (თუ ამ საზარელი სურათების შემხედვარეს მაქვს გახარების უფლება), პატარა იმედი მომეცა, იქნებ ხალხის რჩეულთა სიკეთის და ჰუმანურობის გამოჩენის ათვლის წერტილად ჩავთვალოთ მთავრობის ქმედებანი?

ცხოვრება გრძელდება, დაკარგული ორი მხეცი, არც მკვდარი და არც ცოცხალი, ჯერაც არ აღმოუჩენიათ, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევით მხეცებთან ერთად ცხოვრებას... ამ ბოლო წინადადებამ სხვაგვარი ფიქრები და აზრები მომგვარა. ვეჩვევით თუ კარგა ხანია, რაც შეჩვეულები ვართ? ეჰ, სამწუხაროდ, – მგონი, შეჩვეულები ვართ. ოღონდ ეს მხეცები, რომლებსაც ჩვენ კარგა ხანია, შევეგუეთ და რომლებთანაც ერთად ცხოვრება გვიწევს, სხვანაირი მხეცები არიან, ტანსაცმელში შებურულები, ორფეხზეც დადიან და გამოირჩევიან სხვადასხვა ხასიათებითა და ბუნებით. ერთნი არა მარტო გვანან ადამიანებს, არამედ ცხოვრობენ კიდეც ადამიანებთან ერთად, ჩვეულებრივ სახლებში (კორპუსებში), თუმცა, საკითხავი სწორედ ეს არის, – როგორ ცხოვრობენ! მაგრამ, ხომ გეუბნებით, შემგუებლობა დიდი ზიანის მომტანი რამ არის. ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. – უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, ანუ ერთფერები გახდებიანო... მაგრამ ზოგიერთი ადამიანი კვლავაც ინარჩუნებს ადამიანობას, რაც, შემნარჩუნებლისთვის ვერაფერი სიკეთის მომტანია... სიკეთისა კი არადა, ტანჯვაა პირდაპირ, როდესაც აღმოაჩენ, რომ თურმე ცხოველთან (ნადირთან!) ერთად შეაღებ საკუთარი სადარბაზოს კარს. იმ ცხოველთან, რომელმაც შეიძლება უცებ არ შეგჭამოს, მაგრამ სხვა უცნაური მეთოდები აქვს ადამიანის დაჩაგვრისა და დაბეჩავების... თუ დაუკვირდები, საშინელი რამ არის ყოველივე ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ცხოვრება ისეა მოწყობილი, სად სცალიათ ადამიანებს დაკვირვებებისა და ანალიზებისთვის...

არიან კიდევ ზემოთ აღწერილ ცხოველებზე „მაღლა მდგომნი“. ჩვეულებრივი ადამიანები მათ იშვიათად ხედავენ, რადგანაც ისინი ცალკე ცხოვრობენ და ცალკე დადიან შეიარაღებული მცველებითა და საგანგებო მანქანებით. ადამიანებისთვის საშიშნი არიან, მაგრამ ადამიანების ხორცის ჭამა არ უყვართ. არ ჭამენ, სისხლს და ოფლს გამოსწოვენ მხოლოდ, ხორცი რად უნდათ, როგორ იკადრებენ! საგანგებო ნანადირევს – ირმის მწვადებს მიირთმევენ, თევზეულიც უყვართ, მხოლოდ ზუთხი, ხიზილალა და სხვა ასეთები, რომელთა სიყვარულს უბრალო მოკვდავნი უკვე კარგა ხანია, გადაეჩვივნენ. ასე რომ, ზოოპარკისა და ტყის მხეცებისაგან განსხვავებით, ისინი ადამიანებს არ ერჩიან, ერჩიან მხოლოდ ადამიანების მიერ შექმნილსა და შემოქმედებულს და ყველაფერს ითვისებენ... აი ასეთი ცხოველები დადიან ჩვენში, ცხოვრობენ ჩვენთან ერთად ...

არიან კიდევ ზემოთ აღწერილ ცხოველებზე „მაღლა მდგომნი“. ჩვეულებრივი ადამიანები მათ იშვიათად ხედავენ, რადგანაც ისინი ცალკე ცხოვრობენ და ცალკე დადიან შეიარაღებული მცველებითა და საგანგებო მანქანებით. ადამიანებისთვის საშიშნი არიან, მაგრამ ადამიანების ხორცის ჭამა არ უყვართ. არ ჭამენ, სისხლს და ოფლს გამოსწოვენ მხოლოდ, ხორცი რად უნდათ, როგორ იკადრებენ! საგანგებო ნანადირევს – ირმის მწვადებს მიირთმევენ, თევზეულიც უყვართ, მხოლოდ ზუთხი, ხიზილალა და სხვა ასეთები, რომელთა სიყვარულს უბრალო მოკვდავნი უკვე კარგა ხანია, გადაეჩვივნენ. ასე რომ, ზოოპარკისა და ტყის მხეცებისაგან განსხვავებით, ისინი ადამიანებს არ ერჩიან, ერჩიან მხოლოდ ადამიანების მიერ შექმნილსა და შემოქმედებულს და ყველაფერს ითვისებენ... აი ასეთი ცხოველები დადიან ჩვენში, ცხოვრობენ ჩვენთან ერთად ...

ხედავთ, მომხდარ უბედურებაზე ფიქრმა საით წამიყვანა და როგორ გადმომახედა იმ პატარა, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოზე, რომელსაც საქართველო ჰქვია? ზოგს რომ ჰგონია, ხალხი სახელმწიფოს მიერ აღრიცხული რაოდენობაა, ზოგს სულაც არ გონია ასე. ხალხი ადამიანებისაგან შედგება და ადამიანები ყველა ერთნაირი როდია, იგი მრავალგვაროვანია, სავალალოდ ადამიანების გარკვეული ნაწილი მხეცური ბუნებისანი არიან და ასეთები ხშირად უფრო მტკიცედ დადიან დედამიწაზე, ვიდრე ნამდვილი ადამიანები.

იტყვიან ხოლმე, „გაჭირვება მანახეო, და“... რამდენჯერ გვანახეს... ერთი რამ გამოირკვა მხოლოდ. ჩვენ ოთხფეხა მტაცებლების უფრო გვეშინია, ვიდრე ორფეხებისა, არადა, ორივე საშიში მხეცია, მერწმუნეთ.

გულნარა სტურუა

ვიყოთ ჩვენს გულში მხიარულნი რუსეთის ავბედობით, მაგრამ...

ტელეეკრანიდან მოსმენილის პასუხად

ამას წინათ ტელეკომპანია „ობიექტივზე“ წამყვანი და გამომსვლელი ერთმანეთს ასწრებდნენ იმის თქმას, რომ რუსეთ-ამერიკის დაძაბული ურთიერთობა ფინიშს უახლოვდება და სულ მალე ისეთი სიამტკბილობა დაისადგურებს ამ ორ ქვეყანას შორის, ავ თვალს რომ არ ენახვება. ერთმა ისიც კი აღნიშნა, რომ რუსეთის ფსბ-ს ხელმძღვანელი ბორტნიკოვი იყო აშშ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის მოხდა კულუარული შეთანხმება გავლენათა სფეროებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით რუსეთი იქნება ყოფილ საბჭოთა სივრცის სრული ზედამხედველი, აშშ კი - ევროპის ქვეყნების.

მათი ლაპარაკიდან შემდეგი დასკვნა გამოვიტანე – ორმა დიდმა სახელმწიფომ გაიყვეს მსოფლიო და რაც არ უნდა გაიჭაჭოს დღევანდელ-გუშინდელი ხელისუფლება, არაფერს მოიტანს, ჯობს ვითარების სწორად გაანალიზება და საზრიანი ნაბიჯების გადადგმა, ცხადია, ჩრდილოეთისკენ. დუეტის მოსაზრება უდავოდ საყურადღებოა, რამეთუ საქართველოში მცხოვრები ადამიანების საკმაო ნაწილის (როგორც ამერიკელები აცხადებენ 31%) სურვილს ემთხვევა.

ის, რომ საქართველოს პოლიტიკური ვექტორი ვერა და ვერ ამართლებს, არახალია. ისიც არახალია, თუ რაღაც არ ამართლებს და ამ შემთხვევაში პოლიტიკური კურსის, რაღაც ცვლილება უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამის გაკეთება იმ ძალებს, რომლებიც პოლიტიკაში არიან, არ შეუძლიათ მთელ რიგ მიზეზთა გამო:

პირველი – აშშ-ის შვილობილობაა, შენ რომ შვილობილად თვლი თავს, ხოლო ის გერზე უარესად მიგიჩნევს.

მეორე – აშშ-მა მილიონობით დოლარი ხარჯა საქართველოში პრო-ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ამერიკაში ტრენინგში.

მესამე – აშშ-მა კარგა ხანია, რიგი არასამთავრობები სახელისუფლებო კადრების სამჭედლოდ გადააქცია და ისეთი ხელისუფლება, ოპოზიცია, მედია შექმნა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ამერიკული ინტერესების გატარებას.

ამ მარტივი სამი კომპონენტის გათვალისწინებით, აშშ არამცდაარამც არ მოიკვეთს ფეხს საქართველოდან, მითუმეტეს რუსეთის სასარგებლოდ. ასე რომ, ტელედუეტის მიერ გაჟღერებული სასიამოვნო პერსპექტივა (ზოგიერთათვის) ოცნებად დარჩება.

ცნობისთვის იმასაც მოგახსენებთ, რომ ბორტნიკოვი აშშ-ში გამართულ კონფერენციას ესწრებოდა ნარკოტრეფიკთან დაკავშირებით. სხვა დატვირთვა მის ვიზიტს არ ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკული ჟურნალისტიკა ამას ყურადღებას არ მოაკლებდა.

დიახ! საინტერესოა ქართული პოლიტიკური წიაღსვლები, „ანალიზი“ და დასკვნები, მაგრამ სინამდვილისგან შორსმყოფი და აუსრულებელი.

არანაკლებ „საინტერესო“ იყო სხვა ტროიოს მოსმენა. ერთ-ერთი მათგანი „სახელგანთქმული“ ექსპერტი ჩიტაძე იყო. ჰოდა, ლაპარაკობდნენ წამყვანი და ორი მოწვეული საქართველო-მსოფლიოს საჭირბოროტო თემებზე, თან ისეთი აკადემიური პათოსითა და „ცოდნით“, ოდნავ საქმეში ჩახედული, აზროვნების ზონიდან გასულად რომ მიიჩნევს.

სალაპარაკო თემაც ისეთი იყო, საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლას რომ ეხებოდა. **პატივცემული ჩიტაძე „გოიმებს“ გვიხსნიდა, რომ უვიზო მიმოსვლა იმდენად არის კარგი, რომ საქართველოს მოსახლეობა წავა ევროპაში, დაათვალიერებს ღირსშესანიშნაობებს, გაიგებს იქაურ დამოკიდებულებას მიღებულ კანონებთან დაკავშირებით, შეხედავს დასავლურ ცხოვრებას და დაბრუნდება სამშობლოში ცოდნით გამდიდრებული, რომელსაც აქ გამოიყენებს**.

ამას რა ჯობსო, ტაშს შემოჰკრავს „ბრძენთა“ მსმენელი, მაგრამ ... აი, ამ „მაგრამის“ შემდეგ იწყება ცხოვრებისეული პროზა. ჩიტაძემ ნამდვილად არ იცის, რა ხდება ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია. არც ის იცის, რა ხდება იქ – ქართველი რომ ტურისტად გაემგზავრება. ოფიციალურ-არაოფიციალური მონაცემებით, საქართველო უღარიბესი ქვეყანაა მსოფლიოში – უსაზღვროდ დიდი უმუშევრობით და ერთ სულ მოსახლეზე უაღრესად დაბალი შემოსავლით, რაც სულაც არ იძლევა უცხოეთში ტურისტად გამგზავრების მინიმალურ შესაძლებლობას.

არიან გამონაკლისები – მოსახლეობის ჯიბეებში ხელის ჩამყოფი ბიზნესმენებისა და მათი ოჯახების, ხელისუფლებისა და მათი სანათესაოს სახით, თუმცა, მათ კარგა ხანია, გარანტირებული აქვთ მრავალწლიანი, მრავალჯერადი ვიზები შენგენის ზონის ქვეყნებში. ასე რომ, უვიზო მიმოსვლა უნდა შეეხოს არა ამ კატეგორიას, არამედ დანარჩენს, რომელთაც ტურიზმისთვის ნამდვილად არ ცხელათ. თუ რისთვის ცხელათ, ცნობილია – ვალის აღება და ევროპაში ლეგალურად გამგზავრება, თან არა სამი თვით, როგორც ეს მოლდოვას აქვს, არამედ კანონის დარღვევით – სამუდამოდ.

ისევ მოიყვანეს მოლდოვას მაგალითი და აღნიშნეს, რომ მოლდოვაზე ნაკლები რით არის საქართველო? განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს საქართველოს ისტორიულ როლს ევროპისთვის და იმას, რომ ქრისტიანულმა საქართველომ შეაჩერა მუსლიმური ურდოების შეტევა ევროპაზე; რომ საქართველომ თავი გაწირა და გადაარჩინა ევროპა და ახლა, როდესაც ევროპის ჯერი დადგა – გვიღალატა, არ მოგვცა ევროპაში უვიზო შესვლის შესაძლებლობა.

მკითხველო, ხომ არ გეჩვენება „ექსპერტთა“ განცხადება მოჭარბებულად ხმამაღალ ნათქვამად? პირადად მე ვთვლი, რომ არათუ ხმამაღალი განცხადებაა, არამედ ისტორიულ აზროვნებას მოკლებული, მარტივი მიზეზის გამო – დასავლეთისკენ მავალ მუსლიმანთა ურდოების გზა მარტო საქართველოზე არ გადიოდა, სხვაც იყო პარალელური და ბევრი. როგორც ჩანს, „ექსპერტებს“ ისტორიულადაც და დღესაც ჰგონიათ, რომ მსოფლიო ქართული ღერძის ირგვლივ ტრიალებდა და ტრიალებს.

რაც შეეხება ყბადაღებულ მოლდოვურ თემას. დიახ, მოლდოვას მისცეს უვიზო მიმოსვლის შანსი, მაგრამ მხოლოდ სამი თვით და მუშაობის დაწყების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოლდოველი დეპორტაციას დაიმსახურებს.

„საინტერესო“ იყო ერთ-ერთი „ექსპერტის“ ნათქვამი, რომელიც თურმე ადრე საგარეო უწყებაშიც მუშაობდა. მან დაადანაშაულა ევროკავშირი იმიტომ, რომ უვიზო მიმოსვლა არ დაგვიწესა და სინანული გამოთქვა – „ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მოსახლეობას უნდა მისცემოდა ამის შესაძლებლობა, თუნდაც მთელი 3 მილიონი რომ დარჩენილიყო ევროპაშიო. სამი მილიონი რა არის ევროკავშირისთვისო!“ – ბრძანა მან, – „კანონისა და წესის მორჩილმა“ მომავალმა ევროკავშირელმა. ასეთი აზროვნების მატარებელი საქართველო რომ ევროკავშირის წევრი ვერ გახდება, ფაქტია.

„ექსპერტი“ დარწმუნებულია, რომ უვიზო მიმოსვლა „კაი ბიჭებისთვისაა“ გამოგონებული და საქართველო ხომ „კაი ბიჭების“ ქვეყანაა?! ასეთს, ყოველგვარი დავალების შესრულების გარეშე უნდა მიეცეს თავისუფალი შესვლის უფლება! აპა, არა! აი, რას ნიშნავს უმეცრების ზენიტში აყვანილი „ექსპერტობა“. და არის უაზრო „მოაზროვნეთა“ ენის ფხანა ღია ეთერში, ხალხის უნამუსო მოტყუება და დაიმედება.

„ექსპერტებს“ გამორჩათ ევროკავშირის უდიდესი თავსატეხი, რასაც ჩრდილო-აფრიკელთა შემოსევა ჰქვია. ასეულათასობით არაბია დასაბინავებელი ევროპაში. გარდა ამისა, მშიერი აღმოსავლეთ ევროპელი, ანუ ბულგარელი, რუმინელი, ბალტიისპირელი, რომლებიც კალიებივით მოედნენ „ძველ“ ევროპას და გამოხრით ემუქრებიან მას. და ამ დროს ენის უცოდინარი, არასპეციალისტი სამი მილიონი ქართველი. საქართველოს უვიზო მიმოსვლისთვის მთელი რიგი პუნქტები აქვს გასავლელი. არ გაივლის და ვერ მიიღებს იმას, რაც მოლდოვამ მიიღო. „კაი ბიჭობას“ ევროკავშირი ყურადღებას არ აქცევს. ეს მარტივი წესი უნდა იცოდეს საგარეო უწყებაში ნამუშევარმა ადამიანმა.

ახლა კი იმ „ტკბილი“ ურთიერთობების თაობაზე, რასაც ადგილი აქვს რუსეთ-ამერიკას შორის. ვითარება რომ ოდნავ დამაიმედებელი ყოფილიყო, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ასე მკვახედ, ანტიამერიკულად არ ილაპარაკებდა სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ სამიტზე, სადაც მან ბრალი დასდო აშშ-ს ნატოს გაფართოებაში, უკრაინის, ერაყის, ლიბიის მოვლენებში, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში და ა.შ.

პუტინს ტოლი არც ოფიციალურმა ვაშინგტონმა დაუდო და პირდაპირ აგრესორად, ოკუპანტად მოიხსენია, თან ისიც დაამატა, რომ რუსეთის შესაჩერებლად ამერიკა მზადაა განათავსოს დამატებითი სამხედრო კონტინგენტი და მძიმე შეიარაღება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ევროკავშირმა კი, ყოველგვარი განხილვის გარეშე, წლის ბოლომდე გააგრძელა ანტირუსული სანქციები.

ის, რომ ორ ქვეყანას შორის აშკარა „ცივი ომი“ მიმდინარეობს და ნაცვლად განელებისა, ყოველდღიურად იძაბება, ფაქტია. არც სამომავლოდ მოსჩანს სინათლე, თუნდაც მბჟუტავი, გვირაბის ბოლოს. ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობას ნეგატიურ, კონფრონტაციულ ჰანგებზე დაასრულებს. წელიწადნახევრის შემდეგ აშშ-ში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტობის კანდიდატთა შორისაც არ ჩანს ისეთი, რომელიც მეტ-ნაკლებად რეალურად შეხედავს რუსეთთან ურთიერთობას. დემოკრატთა კანდიდატი ჰილარი კლინტონი აშკარად ანტირუსულად არის განწყობილი. იგივე ითქმის რესპუბლიკელ ჯებ ბუშზეც.

არც სხვები აკლებენ ხელს ანტირუსულ კოცონს, რომელიც ტრადიციულად გიზგიზებს ამერიკის ანტირუსულად განწყობილი პოლიტიკური წრეების ხელშეწყობით. ზოგი ხელს ითბობს ანტირუსულ კოცონზე, მათ შორის სამხედრო-სამშენებლო კომპლექსები. მეტი დაძაბულობა, მეტი სამხედრო შეკვეთები. არვინ ფიქრობს თუნდაც ერთ მოუზომავ ხელის მოძრაობაზე, რომელმაც შეიძლება მსოფლიო დაასამაროს.

ამერიკა ებრძვის რუსეთს და ამ დროს ძლიერდება ექსტრემისტული ისლამი, რომელიც დიდ პრობლემებს უქმნის არა მარტო ახლო აღმოსავლეთს, არამედ მისგან დაშორებით სხვას. ამერიკა ადანაშაულებს ირანს ტერორიზმის მხარდაჭერაში, რუსეთს – აგრესიაში, განსაკუთრებით უკრაინასთან მიმართებაში, მაშინ როდესაც ორივე შემთხვევაში თვით არის დამნაშავე.

ის, რაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს ბოლო 20 წლის განმავლობაში, გეოპოლიტიკური ძვრებიდან არის გამომდინარე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლიდან. იმჟამინდელი მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი და არც ერთი მათგანი არ ცდილობდა შექმნილი ბალანსის დარღვევას. საბჭოეთის დაშლამ დაარწმუნა აშშ-ის ადმინისტრაცია, რომ ის არის ყველაფერი – ერთადერთი ზესახელმწიფო და ასე იქნება მომავალში. მას აქვს უფლება, ასწავლოს სხვას, თუ როგორ მოაწყოს საკუთარი ცხოვრება. მას შეუძლია დასაჯოს არასანდო რეჟიმები და წაახალისოს სანდო. ამ პოლიტიკის კულმინაციად იქცა 2003 წელი, როდესაც აშშ-მა ჯარი შეიყვანა ერაყში. ეს იყო ტიპური ნეოკოლონიალიზმი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ხალხებს მოუტანა სიკვდილი, ნგრევა, ქაოსი. აგრესიამ ბოლო მოუღო ბოლო წლებში დიდი გაჭირვებით შექმნილ ბალანსს სუნიტებსა და შიიტებს შორის.

ამერიკული ნაბიჯების ჯაჭვშია დასავლეთის მცდელობა, გამოიყენოს რადიკალური ისლამი სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ. სულ ახლახან გამოქვეყნდა აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის წერილები, სადაც მკაფიოდ მოსჩანს ინგლის-საფრანგეთის გარიგება ლიბიასთან დაკავშირებით. ამ ორს უნდა გაეყო ლიბიის ნავთობის სიმდიდრეები. მათ გეგმაში შედიოდა ლიბიის რამდენიმე ნაწილად დაყოფა, რაც მოხდა კიდევაც, თუმცა, დაშლა-დაქუცმაცებამ ევროპასაც უწია ათეულათასობით ლიბიელი ლტოლვილის სახით.

„ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ავთვისებიან სიმსივნესავით იზრდება, ემუქრება არა მარტო ახლო აღმოსავლეთს, არამედ მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. „ისლამური სახელმწიფოს“ ხელშია სირიის ტერიტორიის ნახევარი, ერაყის დიდი ნაწილი. „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრები მიადგნენ იორდანიისა და საუდის არაბეთის საზღვრებს. ეს „სახელმწიფო“ არა მარტო ტერაქტებით ემუქრება მსოფლიოს, არამედ ბირთვული ბომბის ხელში ჩაგდებით. და თუ ეს მოხდა, რაც არ არის გამორიცხული, რას დაემსგავსება მსოფლიო?

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ 24 ენაზე წარმოებული პროპაგანდა ხიბლავს ახალგაზრდებს, რაც არანაკლებ სახიფათოა. მისი მოწოდება სოციალური თანაფარდობისა და სამართლიანობისკენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინასწარმეტყველი მუჰამედის დროს, ათასობით ახალგაზრდისთვის მაგნიტია. დასავლეთი კი ყოველივე ამას სათანადო დონეზე არ იხილავს, პირიქით, ცდილობს მის სათავისოდ გამოყენებას.

სულ ახლახან ტაჯიკეთის „ომონის“ მეთაური გულმუროდ ხალიმოვი 10 „ომონელთან“ ერთად „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრებს შეუერთდა. 40 წლის გულმუროდი, რომელსაც წვრთნები გავლილი აქვს რუსეთსა და აშშ-ის სპეცსამსახურებში, დიდი შენაძენია „ისლამური სახელმწიფოსთვის“, რომელიც მას ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს.

ავიღოთ თუნდაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონას გაქცევა მოსკოვიდან და სირიის საზღვარზე დაკავება – მამამ ის ისევ მოსკოვში ჩაიყვანა.

„ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია იზიდავს ახალგაზრდა ვაჟებსა და გოგონებს არა მარტო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ დაპურებულ ევროპაში.

იმას, რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში, საზღვრების შეცვლა ჰქვია, რაც თავისთავად იწვევს სისხლს, ნგრევას, არაადამიანურ ქცევას. რა დგას ყოველივე აღნიშნულის უკან? გარკვეულ ძალთა მზაკვრული მოქმედება, რომელიც, საკუთარი განდიდების სურვილით არვის და არაფერს არ ინდობს. დიდად სამწუხაროდ, დღევანდელ-გუშინდელი ქართული პოლიტიკა ამ ძალთა მხარეზეა, მას ეტრფის და მასთან სიახლოვე მიაჩნია წარმატების და წინსვლის სიმბოლოდ. არადა, საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანას სხვა პოლიტიკური მოსაზრება უნდა ჰქონდეს – თავის გადასარჩენად და არა ვიღაცის გასაღიზიანებლად. როდესაც დასავლეთი, როგორც „პეშკას“ ისე გიყურებს და არა ისე, როგორც შენ გსურს, გაანალიზების უნარი მაინც უნდა გქონდეს. ნუთუ საბერძნეთის მაგალითი არაფერს გვეუბნება? ნუთუ ჩვენს პოლიტიკას ჰგონია, რომ ცივილიზაციის აკვან საბერძნეთზე მეტის „პატივისცემას“ მივიღებთ ევროკავშირიდან?

300 მილიარდ დოლარზე მეტი ვალი აქვს დაგროვილი საბერძნეთს – უპირველესად, ბრიუსელის წყალობით. ბრიუსელი კი დღეს მას სთხოვს ვალის დაბრუნებას, თუნდაც საკუთარი პენსიონერების პენსიების შემცირების ხარჯზე. რა „ჰუმანური“ გადაწყვეტილებაა?!

იმ „ექსპერტისა“ არ იყოს, თავში რომ ვახსენე – ჩვენ „კაი ბიჭები“ ვართ და ევროკავშირი ასე არ უნდა მოგვქცეოდაო. მოგვექცევა და მერე როგორ. რჩევისთვის, კარგი იქნება თუ ჩვენი პოლიტიკოსები და ექსპერტობა წაიკითხავენ ამერიკელი ჯონ პერკინსის წიგნს „ეკონომიკური მკვლელი“, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი ჩვენისთანა ქვეყნების მიზანმიმართული გაკოტრება და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაყოფა.

დავუბრუნდეთ ისევ აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობას, პრობლემატურს და გაურკვეველი მომავლის მქონეს. მავანი შემედავება – ჩვენ რა შუაში ვართ ამ ორის ომშიო. ჯერჯერობით პირდაპირი მნიშვნელობით არა, მაგრამ ირიბად ხომ შევწუხდით და თანაც საგრძნობლად, ვინაიდან რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა თუ ვინმეზე იმოქმედა მძიმედ, საქართველოა.

ვიყოთ ჩვენს გულში მხიარულნი რუსეთის ავბედობით, მაგრამ ხანდახან ჩვენი თავიც გავიხსენოთ, განსაკუთრებით, ლარის გაუფასურებისას.

პამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ სატირალი უფრო მეტია, ვიდრე სასაცილო

სააკაშვილი და მმართველობა სტანისლავსკის სკოლის მეთოდებით

ყოფილმა **პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კარიერა იმით გაიკეთა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა: გაიარა სინჯები როლზე, მიიღო როლი, შეასრულა როლი, თან ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, რეჟისორთან მოლაპარაკებებსაც ახერხებდა. ახლაც იგივე მეორდება. უკრაინის ხელისუფლებამ ის ოდესის გუბერნატორად დანიშნა. ეს იყო საკადრო გადაადგილება, რომელიც სუვერენულმა მთავრობამ სრული უფლებით განახორციელა. თუმცა, ამავე დროს, ასეთმა პოლიტიკურმა სვლამ შესაძლებელია, ანტაგონიზმი გამოიწვიოს აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა რუსულენოვანია.**

რამდენადაც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ეს დანიშვნა, თუ თვალს გადავავლებთ საარქივო ჩანაწერებს, აღმოვაჩენთ, რომ ნებისმიერი თანამდებობა, მის შემთხვევაში, გარემო პირობებისადმი ადაპტაციის უნართან შესაბამისობაშია. სააკაშვილი იურისპრუდენციასა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს სწავლობდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ის ითვისებდა ნორმატიული მიდგომების ტრადიციებს. რუსულ ენაში მაშინ გაიწაფა, როდესაც რუსულის ცოდნა ძალაუფლებისკენ მიმავალი საფეხური იყო; დახვეწა თავისი ინგლისური მაშინ, როდესაც დრო შეიცვალა. ხუთ ენაზე საუბრობს, მათ შორის უკრაინულადაც. ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში, მან უმაღლეს წრეებში არც ისე ბევრი მეგობარი შეიძინა. შედეგად: იმ დროს, როდესაც მთელი ყურადღება გადატანილია უკრაინისკენ, მზადყოფნაში მყოფი სააკაშვილი მართლაც კარგ შოუს დადგამს.

მისი რეპერტუარი საკმაოდ ძვირად ფასობს. ის მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტებს შორისაა; აგრესიული რეფორმატორი, დასავლური ცივილიზაციის დამცველი; ყოფილი საბჭოთა, პატარა ქვეყნის პროდასავლური ექს-პრეზიდენტი ნებაყოფლობით დევნილობაში იმყოფება; ტაფტის აკადემიკოსი, უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს მთავარი ლობისტი და ამჟამად გუბერნატორი ოდესის რეგიონისა, რომელიც მეექვსე ადგილზე იმყოფება უკრაინის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს შორის. იგი 200 კილომეტრში მდებარეობს ანექსირებული ყირიმიდან და დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეგიონიდან, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი.

ქართველ პოლიტიკოსთა პირველი თაობისთვის სააკაშვილი მომავლის სახე იყო. მაშინ ჩვენ განზრახული გვქონდა ისეთი „სახელმწიფოს“ შექმნა, რომელიც არა მარტო ფეოდალურ მმართველობაზე დაფუძნებულ ქვეყანაზე უკეთესი იქნებოდა, არამედ წარმოდგებოდა, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფო, არჩევანის უფლებითა და რეალური შესაძლებლობებით. და რამდენადაც საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გაღატაკებული ქვეყანა იყო ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, ჩვენ მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა გვმართებდა. ჩვენ გვჭირდებოდა, რომ მსოფლიოს დავენახეთ არა იმ თვალთახედვიდან, თუ რა ვიყავით, არამედ იმ კუთხით, როგორი შეგვეძლო გავმხდარიყავით.

დღევანდელი უკრაინის მსგავსად, საქართველოც მცირე და უფრო ფართო მასშტაბის სამოქალაქო ომებისგან წელში იყო გატეხილი. ხალხს ძლიერი ხელი ესაჭიროებოდა, რომელიც ძალაუფლებისთვის ყველა წვრილმან თამაშს ბოლოს მოუღებდა — ჩვენი საკუთარი ლიდერი, და არა მხოლოდ: სააკაშვილი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა. ამ თამაშს არ ერქვა არც „ხალხის ნება -სურვილის განმახორციელებელი დემოკრატი“ და არც „ევროპეიზებული რეფორმატორი“, რადგან ეს ორივე იყო ერთსა და იმავე დროს: ერთი მხრივ, ეფექტური, ძლიერი ხელით მმართველი საბჭოთა ტიპის ლიდერი, რომელიც მზად არის, ყველა ძლიერი ხელის მქონე ბელადზე მაღლა იდგეს; და მეორე მხრივ, დასავლური ტიპის ლიდერი, რომელიც ქართველებს კანონის უზენაესობაზე ესაუბრება. ეს კი სხვადასხვა რამაა, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხებისთვის განკუთვნილი.

საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება, ერთდროულად იყო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა. სააკაშვილი აკონტროლებდა უშიშროების ძალებს; თავს ესხმოდა მედიასაშუალებებს; აკონტროლებდა ყველას, ვისი შემოსავალიც რამდენიმე ათას დოლარს აჭარბებდა, მიმართავდა ყველას, ვინც ქვეყანაში ოდნავ შეძლებული იყო და „არწმუნებდა“, რომ „შემოწირულობა გაეკეთებინა“, და ეს ხშირად საპროცესო გარიგებების კონტექსტში ხდებოდა, ცხადი მინიშნებით „უარესი დაგემართება“; მიმართავდა წამების მეთოდებს ციხეებში, სადაც, როგორც ამბობენ, მოწინააღმდეგეთა მიზანმიმართული მკვლელობებიც კი ხდებოდა. ასეთი იყო ადგილობრივი ბელადი სააკაშვილი, რომელმაც გააკეთა ის, რაც უნდა გაკეთებულიყო.

მაგრამ არსებობდა მთავარი სცენა: სააკაშვილმა, რომელიც გმირულად იბრძოდა კორუფციის წინააღმდეგ, მთლიანად დაშალა პოლიციის არსებული სისტემა და ნულიდან შექმნა პოლიციის ახალი კორპუსი. კაცი, რომელმაც გააადვილა ქვეყანაში გადაადგილება და გაამარტივა საიჯარო პირობები — შექმნა ხელსაყრელი გარემო (უცხოელი ინვესტორებისთვის). და დაუღალავად, ზოგიერთის თქმით, უგუნურადაც ეომა რუსეთს, არა იმიტომ, რომ გაემარჯვა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ იმისთვის, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ იბრძოდა. სხვადასხვა ვითარებაში პრეზიდენტი სააკაშვილი პრეზიდენტ პუტინთან დუელს აწარმოებდა და ყველა ხედავდა, თუ როგორი გამბედაობით უწოდებდა პატარა „პოსტსაბჭოთა“ ან „ახლო საზღვარგარეთის“ სახელმწიფოს პირველი პირი პუტინს მატყუარას, „ლილიპუტინს“, სამაგიეროდ კი პუტინი მას „კვერცხებით დაკიდებით“ ემუქრებოდა. მოქმედებაში ერთი მეორეს აიყოლიებდა.

მათთვის, ვინც საქართველოში მიმდინარე პროცესებს თვალ-ყურს სისტემატურად ადევნებდა, ალბათ, ეს იყო სიურრეალისტური ადგილი, სადაც ჯონათან სვიფტისა და ჯორჯ ორუელის ფანტაზიების მოქმედება ერთდროულად ვითარდებოდა, ხოლო, როდესაც ეს ორი ერთმანეთს ენაცვლება, სატირალი უფრო მეტია, ვიდრე სასაცილო. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რადგან მან არსებული ვითარება შეცვალა.

არ შეიმჩნიო წარუმატებლობა, ალბათ, ეს არის მთავარი საიდუმლო, რასაც შეიძლება სტანისლავსკის სკოლის მეთოდით მმართველობა ეწოდოს. სააკაშვილს არ წაუგია ომი რუსეთთან 2008-ში; მან დაიცვა დასავლეთი! მას არ წაუგია არჩევნები 2012 წელს; მან დიდსულოვნად აღიარა დამარცხება! იგი არ გაქცევია იმ ხალხის რისხვას, რომელსაც აწამებდა; ის „ნებაყოფლობით“ დევნილობაში იმყოფება! მას სწამდა კანონის უზენაესობის, რომელიც არსებობს ჩვენთვისაც, დანარჩენებისთვისაც.

საერთო შთაბეჭდილებისთვის სააკაშვილი როლს შეასრულებს; თუკი წარუმატებლობას განიცდის, ეს შეცდომა არ იქნება, მაგრამ წაგებული ოდესა აღმოჩნდება. **ლიდერი, რომელიც მზად არ არის, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა განცდილი მარცხის გამო, საშიშია, რადგანაც ის არის სრულიად უგუნური.**

დრო შეიცვალა. 2015 წლის უკრაინა არ არის 2000 წლების დასაწყისის საქართველო. ის, რაც ქვეყანაში ხდება, დღეს მეტს ნიშნავს და გასაპროტესტებელიც მეტია. **ეკონომიკური კრიზისი რუსეთში, რუსულენოვანი მოსახლეობა, მიმდინარე სამოქალაქო ომი, პროვოკაციული სააკაშვილი, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ტირასპოლიდან და ყირიმიდან, შესაძლოა, კონფლიქტის კატალიზატორი გახდეს. აქ არ არის ადგილი მოჩვენებითი სიმამაცისა და ტრაბახის პოლიტიკისთვის.**

მე განვიცდი, როდესაც ამ მოსაზრებებს გიზიარებთ, რადგან ნამდვილად არ ვცდილობ ქულების დაწერას სააკაშვილის წინააღმდეგ. ჩემი შეშფოთება უკრაინის მომავალს უკავშირდება, რამდენადაც მძიმე შედეგები გავლენას ახდენს როგორც საქართველოს, ასევე მოლდოვას დამოუკიდებლობაზე.

საუბედუროდ, დასავლეთის საზოგადოებას და ზოგჯერ სტრატეგიულ პარტნიორებსაც კი, და მათ შორის უკრაინასაც, ისევ სჯერა სააკაშვილის. ვაშინგტონი გაფრთხილებებს იძლევა იმ პირების პასუხისგებაში ყოფნის გამო, რომელთა წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და რომლებიც მაღალ თანამდებობებზე იმყოფებოდნენ სააკაშვილის მმართველობის დროს. ევროპის ქრისტიან-დემოკრატები კვლავაც ცდილობენ მის, როგორც პოსტსაბჭოთა დემოკრატიის წინამორბედად წარმოჩენას. **და ახლა კი ყველასთვის უდიდესი შეურაცხყოფაა ის ფაქტი, რომ უკრაინის მმართველმა ძალებმა კაცი, რომელსაც სისხლისსამართლებრივი ბრალდებების გამო სამშობლოში დაბრუნების ეშინია, მნიშვნელოვანი რეგიონის გუბერნატორად დანიშნეს, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილია თავმოყრილი.**

საქართველო სააკაშვილის უკანასკნელ მანევრს გადაურჩება, მაგრამ იქნება კი უკრაინა ასეთივე იღბლიანი? აპირებს უკრაინა, ისეთივე ძალაუფლებით აღჭურვოს სააკაშვილი, როგორიც მას საქართველოში ჰქონდა? მისცემს მას უფლებას, თავს დაესხას ოპოზიციის შტაბბინებს ან დაარბიოს ოპოზიციური რადიოსადგური და ტელევიზია იმავე მეთოდებით, როგორსაც ის საქართველოში იყენებდა, განსხვავებული აზრის ჩასახშობად? შეეგუება დაპატიმრებებს, წამებას, კერძო საკუთრების კონფისკაციას და მკვლელობებსაც კი, ისეთივე ავტორიტარული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, როგორიც მან საქართველოში შექმნა? და ყველაფერთან ერთად, სურს უკრაინას, რომ მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი უმცირესობით დასახლებული რეგიონი იმართებოდეს იმ პირის მიერ, რომელმაც არაერთხელ გამოხატა სიძულვილი პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის ფედერაციის მიმართ?

თუკი სააკაშვილი მართლაც დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, ჩვენ ამ სამწუხარო შეცდომისთვის ზეიმის საბაბი მოგვეცემა, მაგრამ უკრაინას თუ ექნება საქმე საზეიმოდ? ეს სხვა საკითხია.

თედო ჯაფარიძე

◎ მატყუარა თავის სტიქიაშია

მიშა ახლა უკრაინელებს აბოლებს

როგორ გააცურა სააკაშვილმა უკრაინელები ამერიკული ხელფასის ყალბი ცნობით

უკრაინაში **სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნული სააკაშვილი მუდმივად იმეორებდა, რომ შეძლებული ადამიანია და უკრაინაში გასამდიდრებლად კი არა, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის ჩავიდა. ეჭვები რომ გაეფანტა, თავის Facebook-გვერდზე გამოაქვეყნა ხელფასის ცნობა, რომელსაც ვითომდა ამერიკაში იღებდა.**

შეგნებულად თუ შემთხვევით, საკითხში გაურკვევლობით უკრაინის მედიამ ქართველისგან გმირი შექმნა. მასმედიის საშუალებები აჭრელდა დაახლოებით ასეთი სათაურებით: „სააკაშვილი მოჰყვა, თუ რამხელა ხელფასზე თქვა უარი ამერიკაში, ოდესაში წამოსვლის სანაცვლოდ“ ან „სააკაშვილმა ფარდა ახადა თავის ამერიკულ შემოსავალს“... და ა.შ.

ამას მოჰყვა აღტაცებები სოციალურ ქსელში — „ბრავო, მიხაილ!“, „სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტად!“, „უკრაინის გამო ამხელა ფულზე თქვა უარი!“

მოდით, ვნახოთ რა ფულებზეა საუბარი და რა დოკუმენტი გაასაჯაროვა სააკაშვილმა? გთავაზობთ სააკაშვილის გამოქვეყნებულ სტატუსს:

— ვისაც აინტერესებს, მოგახსენებთ, რომ ჩემი ხელფასი ამერიკაში, ოდესაში დანიშვნამდე, შეადგენდა 200 ათას 4, ამას უნდა დამატებოდა ლექციებიდან და საჯარო გამოსვლებიდან მიღებული თანხა. მე და ჩემი მეგობრები სახელმწიფო სამსახურში ფულის გულისთვის არ მოვსულვართ და საერთოდაც, საზოგადოების სამსახური ყოველთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფული. ძნელია, აუხსნა ადამიანებს, რომლებსაც რეალურად უჭირთ, რომ ჩინოვნიკს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს; ჩემი ღრმა რწმენით, უნდა ავიყვანოთ ახალი, გაუსვრელი ხალხი და მერე, როცა გადასახადებიდან აკრეფილი თანხა შემოვა ბიუჯეტში და არა კორუმპირებულების ჯიბეებში, მივცეთ მათ მაღალი ხელფასები; ამავდროულად ჩვენ შევძლებთ, გავზარდოთ პენსია, ავაგოთ გზები და უკეთ შევაიარაღოთ ჯარი“.

**ამ დოკუმენტის ზერელე ანალიზიც თვალნათლივ გვანახებს, რომ სააკაშვილი უკრაინელებს იდიოტებად მიიჩნევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ იაფფასიან სიყალბეს არ შეაჩეჩებდა. თავად განსჯეთ: ინსტიტუტი (New International leadership institute), რომელიც ვითომ ასეთ ხელფასს უხდის, დაარსებულია 2015 წელს სააკაშვილის ყოფილი მინისტრის თემურ იაკობაშვილის მიერ და ხელფასის ცნობაზეც მისი ხელმოწერაა. რაც შეეხება მის ადგილმდებარეობას, როგორც გავარკვიეთ, ასეთი მყვირალა და პრეტენზიული სახელწოდების ინსტიტუტი ვაშინგტონის გარეუბანში, პიცერიასა და სილამაზის სალონს შორის მდებარეობს, ვცადეთ საიტზე მითითებულ ნომერზე დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. ფაქსის გაგზავნაც ვერ მოვახერხეთ ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ მსგავსი ნომერი თურმე არ არსებობს. დოკუმენტის თანახმად, ს

◎ მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

„არ მინდა ვერსიები და ჭორები, მინდა საქმის გამოძიება“

მთავარმა პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გია სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმა. გამოძიების მტკიცებით, სოსანაშვილში განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ვაზაგაშვილის საჯარო გამოსვლები, საზოგადოებრივი მოძრაობის უფრო მეტად გააქტიურებას და საპროტესტო აქციების გამართვას რომ გეგმავდა. გამოძიების მტკიცებით, სოსანაშვილი ნათლად ხედავდა, რომ ვაზაგაშვილის საზოგადოებრივი აქტიურობის შედეგად, შესაძლოა, დამდგარიყო მისთვის პატივსაცემი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, ვინ არიან სოსანაშვილისთვის პატივსაცემი პირები, გამოძიება ამაზე ამ დრომდე არ საუბრობს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მომხდარი გახმაურებული მკვლელობიდან ერთადერთი სწორედ ვაზაგაშვილის საქმეა, სადაც გამოძიებას, მეტ-ნაკლებად, წინსვლა აქვს. გამოძიება ამ დრომდე ვერ საუბრობს, რა ხდება ყოფილი დიპლომატის ეროსი კიწმარიშვილის საქმეში, რომელიც საკუთარ ავტოფარეხში გარდაცვლილი იპოვეს. for.ge-სთან საუბრისას ეროსი კიწმარიშვილის ძმას ზურაბ კიწმარიშვილს უცნაურად ეჩვენება, რომ ამ ხნის განმავლობაში გამოძიებამ ვერ დაადგინა რეალობა.

რა ახალი დეტალებია საქმეში, რატომ ვერ შეძლო გამოძიებამ ვიდეოფირზე აღბეჭდილი პიროვნების იდენტიფიცირება და საქმის რა ნაწილს სწავლობს შსს? — ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ზურაბ კიწმარიშვილს ესაუბრა.

— ბატონო ზურაბ, თუ დაადგინა გამოძიებამ, ვის ეკუთვნის იარაღზე აღმოჩენილი დნმ-ის კვალი?

— დღეს, გამოძიების ყველაზე მთავარი მიმართულება არის დნმ-ის და სატელეფონო ამონაწერების უფრო გულდასმით შესწავლა, რომელიც ამ წუთისთვის არსებობს ჩვენს საქმეში. ამ ეტაპზე მიდის იმ პირების დნმ-ის შემოწმება, რომლებსაც შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ იარაღთან ჰქონოდათ შეხება. ესენი არიან გამყიდველები, ასევე შსს-ს ის თანამშრომლები, რომლებიც ახალი იარაღების გაყიდვის სისტემაში შესვლამდე გამოცდიან მას, აწარმოებენ გასროლებს იმისათვის, რომ მასრები შეინახონ. ამ ადამიანების დნმ იქნა ამოღებული იმისათვის, რომ შემოწმდეს, არის თუ არა თანხვედრაში იმ დნმ-თან, რომელიც გარდაცვალების შემდეგ იარაღზე არის აღმოჩენილი. ვიცით, რომ ამ მიმართულებით ტარდება ექსპერტიზები, მაგრამ დასკვნები ჯერჯერობით არა აქვთ.

გარდა ამისა, სატელეფონო ანძებიდან ამოღებულ ინფორმაციას იძიებს შსს სპეციალური სამსახური. ამ ეტაპზე, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომლითაც დაკავებულია გამოძიება. შესაბამისი დასკვნები, სავარაუდოდ, თვის ბოლოსთვის უკვე ცნობილი იქნება. ამ მოლოდინში ვართ.

— არაოფიციალურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ვიდეომასალის შესწავლის დროს გამოიკვეთა საეჭვო პიროვნება, რომელიც შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა და ის არ იყო ეთნიკურად ქართველი. გამოძიებამ შეძლო ამ პირის იდენტიფიცირება?

— სამწუხაროდ, ეს უცხო გარეგნობის მამაკაცი იდენტიფიცირებული არ არის და ეს საკითხი ისევ ღიადაა. იქ არაა მხოლოდ ერთ ადამიანზე საუბარი. ვიდეომასალის შესწავლის დროს, ჩვენ მოვნიშნეთ რამდენიმე პიროვნება, რომელთა გადაადგილება იმ პერიმეტრზე, იმ მომენტში საეჭვოდ მოგვეჩვენა. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ამის თაობაზე ჩვენ კამათიც გვქონდა გამოძიებასთან. მას შემდეგ, რაც გაითვალისწინეს ჩვენი არგუმენტები, მოხდა ამ ადამიანის იდენტიფიცირება. შემდგომ დაიკითხა და გარკვეული ინფორმაცია მისცა გამოძიებას.

— ვინ არის ეს ადამიანი და რამდენად ღირებული ინფორმაცია მისცა გამოძიებას?

— ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც ადრე იქ ცხოვრობდა და რაღაცა საქმეზე იყო მისული. ამ ადამიანთან კითხვები აღარ დარჩა გამოძიებას, ეს იყო სრულიად შემთხვევითი თანხვედრა. მაგრამ, ამ ვიდეოფირში ასევე ჩანს ერთ-ერთი პიროვნება, დავინტერესდით მისი იდენტიფიცირებით, გამოძიებამ იმუშავა, რომ ამ ადამიანის შესახებ მოეპოვებინა ინფორმაცია, თუმცა უშედეგოდ.

— რატომ უშედეგოდ?

— იმიტომ უშედეგოდ, რომ გამოძიებამ ვერ მიაკვლია ვერავის, ვინც იცნობდა ამ ადამიანს, ან სად შეიძლებოდა ამ ადამიანის შესახებ მიეღო ინფორმაცია.

— როდესაც გამოძიებას არ შეუძლია პირის იდენტიფიცირება, ან მის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, არ ფიქრობთ, რომ ეს გამოძიების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს?

— რასაკვირველია. არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, უცნაურად მეჩვენება ის ფაქტი, რომ საკმაოდ არაორდინალური გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცის, ვგულისხმობ მის სპორტულ ფიზიონომიას, იდენტიფიცირება ამ დრომდე ვერ შეძლო გამოძიებამ, ეს ჩემთვის ძალიან უცნაური გარემოებაა.

— ამ ადამიანის იდენტიფიცირება, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციულად გამოძიებისთვის?

— შესაძლებელია, რომ ამ ადამიანის იდენტიფიცირებამ ბევრი ახალი ინფორმაცია არ მოგვცეს საქმესთან დაკავშირებით, ჩვენ არ ვთლით, რომ ეს არის მთავარი გარემოება. უბრალოდ ვეჭიდებით ყველა იმ საშუალებას და მასალას, რომელიც საქმეში გვაქვს. სამწუხაროდ, ეს არც ისე ბევრია და ამიტომაც, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბოლომდე იქნას შესწავლილი თითოეული ეს გარემოება.

— მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არის მნიშვნელოვანი დეტალები, მით უმეტეს, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო ცხელ კვალზე, გამოძიებას წინსვლა არა აქვს ამ საქმეში. ვერც იმას ამბობს, რომ ეს იყო მკვლელობა და ვერც თვითმკვლელობას ამტკიცებს. რა არის მიზეზი, მხოლოდ არაკვალიფიციურობა?

— გარკვეულწილად, დაგვიანდა რეაგირება. ჯობდა, რომ უფრო მოქნილად და მობილურად გვემოქმედა. ის პროცედურები, რომელსაც ახლა ვახორციელებთ, საკამოდ დიდი ხნით ადრე შეიძლებოდა ჩატარებულიყო და მგონია, რომ ეს საქმის გამოძიების ეფექტურობისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა. სამწუხაროდ, გამოძიებას ნამდვილად არა აქვს ხელთ უტყუარი მტკიცებულებები რომელიმე ვერსიის სასარგებლოდ. ამ ეტაპზე გამოიძიებას ძალიან გაუჭირდება, ეს საქმე გახსნილად ჩათვალოს და საზოგადოებას წარუდგინოს დასკვნა, რომელიც ყველა გარემოებას ლოგიკურად აღწერს.

— დღეს არსებული საქმის მასალებით, რამდენად გაუჭირდება გამოძიებას ამტკიცოს, რომ ეს იყო თვითმკვლელობა?

— ნამდვილად, ამ ვერსიის გამოტანაც გაუჭირდებათ. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომელზეც ჩვენ ვდაობთ, ანუ მკვლელობაზე, არც ამ კუთხით არ არის საკმაოდ ბევრი მასალა. მიმაჩნია, რომ ეს პროცედურები, რომელიც ახლა მიმდინარეობს და რომელმაც შესაძლებელია ამ ვერსიის სასარგებლოდ რაღაცა მასალა გამოკვეთოს, უმჯობესი იქნებოდა უფრო ადრე დაწყებულიყო. ჩემთვის მთავარია, რომ საქმე გაკეთდეს ხარისხიანად. თუ ახლა მიმდინარე საგამოძიებო პროცესები ეფექტურად წარიმართება, შესაძლებელია, ამან მართლაც ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგვცეს. ვიმეორებ, რომ უმჯობესი იქნებოდა ასეთი ინტენსიობით თავიდანვე წარმართულიყო გამოძიება.

— დარწმუნებული ვარ, დასვამდით ამ კითხვას, რატომ არ იყო თავიდანვე ასეთი ინტენსიობით გამოძიება ჩართული და რა პასუხი მიიღეთ გამოძიებისგან?

— როდესაც ვიდეომასალაში დაფიქსირებული ადამიანების იდენტიფიცირებას და ძალიან მოქნილი დაკითხვის პროცესის წარმართვას ვითხოვდით, ამაზე გამოძიება ამბობდა, რომ მათ ამოწურულად ჩათვალეს ინტერესი მთელი რიგი პერსონების მიმართ. გამოძიება ამას იმით ხსნიდა, რომ მისთვის ამოსავალი იყო ის ფაქტობრივი ინფორმაცია და მასალები, რომელიც შემთხვევის ადგილზე და მის ახლო-მახლო იყო ამოღებული. გამოძიებამ იმუშავა იმაზე, რაც ხელთ ჰქონდათ, ჩვენ ვეძებდით დამატებით მასალებს. არ მინდა ვერსიები და ჭორები, მინდა საქმის გამოძიება და ამისთვის გამოძიებამ უნდა იმუშაოს.

თამთა ძარჩავა

◎ კაკალ გულში

ნეტაღირსებანი ფრაზები

● **— მე ვუყურებ კურიერს 9 საათზე!**

— შენ!

ოღონდ ახლა არ თქვათ: — როგორც შენ იტანჯები, მეც ისე უნდა დავიტანჯოო, და რომელიმე რუსული არხიდან „კომედი არხზე“ არ გადართოთ!

● **მე მგონი, ბილეთების აღებაზე მარტივი „ბარსელონას“ „სასტავში“ მოხვედრაა!**

● **ციფრული სიზმარი ვნახე!**

● **ერთსქესიანთა ქორწინება, ეს ხომ უკანასკნელი შანსია ამდენი გაუთხოვარი ქალის გაბედნიერებისა და ამას ებრძვით?**

მრავალცოლიანობა მაინც შემოიღეთ,თქვე გენდეროჯახაშენებულებო!!!

● **აუ, რა მაგარია! „ქარადაის“ ციფრულში ვუყურებ!**

● **საქართველოში, როგორც იქნა, რაღაცა „დეფიციტური საქონელი“ გამოჩნდა,ყველას დეფიციტის ნოსტალგია მოეძალა და ფეხბურთი უყვარს თუ არა, ყველამ დეფიციტური ბილეთების ყიდვა და კიდევ უკეთესი, შოვნა გადაწყვიტა. „ოჩერედიც“ დადგა,გამყიდველებიც დაფასდნენ როგორც იქნა,ბილეთის „მშოვნელებიც“ კარგი სასიძოს სტატუსით დაიარებიან, რომ იკითხო, რა მატჩია, ბევრმა არც იცის, მთავარია დეფიციტი. დეფიციტი, რომელიც ქართველს ღირსების გრძნობას აღუძრავს, მას ხომ შეუძლია ამის „შოვნა“! ჩვენ ხომ თითქმის ერთი საუკუნე მშოვნელების საზოგადოება ვიყავით და ახლა ვიბრუნებთ ქართული ყოფის დვრიტას — დეფიციტს და მის მთავარ გმირს „მშოვნელის“ სახით!!!**

ჩვენ ხომ მხოლოდ კეთილი ბიძია მექრთამეები შეგვრჩა ნათელი წარსულიდან, სპეკულანტები გაბიზნესმენდნენ, პედერასტები გეები გახდნენ, ბოზები გაპოლიტიკოსდნენ, კაგებეშნიკები გაცერეუშნიკდნენ,კამსამოლები გაბანკირდნენ, აი მხოლოდ ახლა დაბრუნდა დეფიციტი, ისეც, ალბათ, დროებით.

ეჰ, ნეტა ძეხვიც გაქრებოდეს დახლებიდან?!!!

● **დიკო ციფრულში სულ სხვა ყოფილა. ნეტა როდის მოვა პარასკევი, ინგა მაინტერესებს.**

● **მაქვს ფინალის ორი ბილეთი, გავცვლი კერძო სახლზე პრესტიჟულ უბანში, დასრულებული რემონტით და ავტოფარეხით, თქვენი მხრიდან თანხის დამატებით!**

● **ჩემი აზრით, დავით ალმაშენებლის ძეგლი უზარმაზარ, ულამაზეს კვარცხლბეკზე უნდა დაიდგას გმირთა მოედანზე. მხატვრულ კვარცხლბეკზე, გენიალურზე, რომელზეც ულამაზესი ოქროსფერი ასოებით იქნება ამოტვიფრული საქართველოსთვის ბრძოლაში დაღუპული ყველა მებრძოლის გვარები. ყველა დროის გმირების. ძნელი და შრომატვადი საქმეა? კი, ასეა ნამდვილად, მაგრამ ღირს ამ საქმისთვის დროის, ფულის და ოფლის დახარჯვა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, შესაძლოა, სხვა პირებიც მიეცნენ პასუხისგებაში

ამის შესახებ მთავარი პროკურატურის სპიკერმა კოკა კაციტაძემ აღნიშნა. კაციტაძის თქმით, ნიჟარაძეებისთვის ნავთობპროდუქტებისთვის გადატვირთვის კომპანიებში წილების ჩამორთმევის პროცესში სხვადასხვა უწყებები იყვნენ ჩართული და არ არის გამორიცხული სხვა პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისგების საკითხიც დადგეს. როგორც კაციტაძემ აღნიშნა, სხვადასხვა უწყებებს შორის მოიაზრება სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, რომლის წარმომადგენლებიც მარაბდის ქუჩაძე თამაზ ნიჟარაძეს სახლთან უთვალთვალებდნენ და მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ კეზერაშვილის მითითებით, რომ დაეთმო მისი ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიებისთვის წილები.

რაც შეეხება ჩამორთმეული ბიზნესის დაბრუნების საკითხს, მან განმარტა, რომ ამის ერთადერთ მექანიზმად რჩება სასამართლო, ხოლო კომპანიებიდან, რომელიც პროკურატურის განცხადებით, კეზერაშვილმა მუქარისა და ზეწოლის შედეგად ჩამოართვა ნიჟარაძეებს, ამ ეტაპზე სხვის საკუთრებაშია. კერძოდ, კაციტაძის თქმით, მას შემდეგ რაც კეზერაშვილის მუქარის საფუძველზე კომპანიების წილები გადაფორმდა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებზე, მოხდა მისი გაყიდვა, ერთადერთ მექანიზმად კი ქონების დაბრუნების კუთხით სასამართლო რჩება. როგორც კაციტაძემ აღნიშნა, ამ საქმეში ვერ დაასახელებს დაზარალებული ნიჟარაძეების გარდა სხვა მოწმეებს. თუმცა მუქარას, რომელსაც გამოძიების მტკიცებით კეზერაშვილი ნიჟარაძეებზე ახორციელებდა, ჰყავს თვითმხილველი, ასევე გამოძიების ფარგლებში დაკითხულები არიან შუამავლები კეზერაშვილსა და ნიჟარაძეებს შორის.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, გამოძალვის ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი და შემდგომში ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კავკასიაში უშიშროების ჟენევის მოლაპარაკებანი

ჟენევაში უშედეგოდ დამთავრდა კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის მოლაპარაკებათა 32-ე რაუნდი. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის სიტყვებით, „შეხვედრა იყო მწვავე და დაპირისპირებული“, თუმცა, როგორც მან ქართველ ჟურნალისტებს აცნობა, მხარეებმა მაინც შეძლეს, განეხილათ ყველა დაგეგმილი საკითხი.

ამავე დროს, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ განაცხადა, შეხვედრაზე, რომელიც 8 საათი გრძელდებოდა, მიუხედავად ზოგიერთი მხარის დემარშისა, ქართულმა მხარემ მაინც „შეძლო ამოეწურა“ მისთვის ყველა საინტერესო საკითხი.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებაში მონაწილეობენ საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთის, გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. მოლაპარაკებები დაიწყო 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს შეთანხმების თანახმად.

პრობლემები

დემარში, რომელიც ახსენა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, შეეხებოდა საკითხს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის ხელისუფლების მიერ შემოღებულ აკრძალვას ქართული ენის სწავლების შესახებ ქართულ ენაზე ეთნიკური ქართველებისათვის, რომლებიც გალის რაიონში ცხოვრობენ.

როგორც წინა რაუნდების დროს, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მხარეებმა უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ თემების განხილვაში და პროტესტის ნიშნად დატოვეს შეხვედრა, რის შედეგადაც მხარეებმა ვერ შეძლეს ამ საკითხებზე შეთანხმება. შეგახსენებთ, რომ სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უარს ამბობენ, განიხილონ ქართველი ლტოლვილების პრობლემა ჟენევის დისკუსიებზე მანამ, სანამ საქართველო არ შეწყვეტს ამ საკითხის განხილვას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. რუსეთის მხარე მხარს უჭერს გამოყოფილი რეგიონების პოზიციას.

3 ივნისს — თავის 69-ე სესიაზე — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მერვედ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღიარებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაბრუნების შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეა ღებულობს ამ არამავალდებულებელ რეზოლუციებს, რომელთა ინიციატორიც საქართველოა 2008 წლიდან. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას, დაბრუნდნენ საქართველოს იმ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც მათ დატოვეს. გაეროს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოდენობა საქართველოში 262 704 კაცია.

32-ე რაუნდის დამთავრების შემდეგ, როგორც გრიგორი კარასინმა განაცხადა, მხარეებმა კიდევ ერთხელ უნაყოფოდ განიხილეს საკითხი შეთანხმებისთვის ხელმოწერის შესახებ ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე რამდენიმე წელია რუსეთის მხარდაჭერით სურთ შეიტანონ დღის წესრიგში სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დელეგაციები თბილისისაგან მოითხოვენ, გააფორმონ შეთანხმება ცხინვალთან და სოხუმთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

მაგრამ თბილისი უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს ამგვარ შეთანხმებას, მიიჩნევს, რომ გამოყოფილი რეგიონები „არ არიან კონფლიქტის დამოუკიდებელი მხარეები“. თავის მხრივ, თბილისი მოითხოვს მოსკოვისგან, იკისროს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ, რაზეც მოსკოვი აცხადებს, რომ არ მიიჩნევს თავს კონფლიქტის მხარედ და ამიტომ უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

ამავე დროს, როგორც 1 ივლისს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, სოხუმის წარმომადგენლებმა ჟენევაში შეხვედრაზე უარყვეს „აფხაზეთის სამოქალაქო მოსახლეობის მცდელობა, მოახდინოს იზოლაცია საგარეო სამყაროსგან“ საქართველოს და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან.

მიუხედავად სირთულეებისა, რომლებიც წარმოიშვა 32-ე შეხვედრის მსვლელობის დროს, მხარეებმა მაინც მოილაპარაკეს, მოაწყონ შემდგომი შეხვედრა 6-7 ოქტომბერს.

მოვლენები, რომლებიც შეხვედრას წინ უსწრებდნენ

ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე ცხადი იყო, რომ იგი არ იქნებოდა მარტივი. მისი წინა მოვლენებისა და პოლიტიკოსების კომენტარების გათვალისწინებით.

მაგალითად, 26 ივნისს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გადაწყვიტა უარი თქვას შეთანხმებაზე საქართველოსთან დამნაშავეთა ურთიერთგადაცემის შესახებ — შეგახსენებთ, რომ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წლის 19 მარტს, რამაც თბილისში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. კერძოდ, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჟენევის მოლაპარაკებაზე დავით დონდუამ რუსეთის ამ მოქმედებას „არაკონსტრუქციული“ უწოდა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა პოლიტიკის საკითხებში თენგიზ ფხალაძემ განაცხადა, რომ იმ პოლიტიკის ფონზე, რომელსაც რუსეთი აწარმოებს საქართველოსთან დაკავშირებით, მოსკოვის ამგვარი ნაბიჯი არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას.

ამავე დროს მოსკოვის უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველკვარტალურმა მოხსენებამ სიტუაციის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ოკუპირებულ რეგიონებში 2015 წლის იანვრიდან მარტამდე. მონაცემების თანახმად, რომლებიც მოყვანილია მოხსენებაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მუდმივად ირღვევა ადამიანთა უფლებები, კერძოდ, ადგილი აქვს წამებებს, დაუშვებელ ურთიერთობას ადამიანებთან, გატაცებებსა და სხვა უკანონო დაპატიმრებებს, აგრეთვე საკუთრების უფლებების მასობრივ დარღვევებს. როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, იგი შეაშფოთა დოკუმენტის „ტონალობამ“, რომელშიც, როგორც მან აღნიშნა, „მოსჩანს რევანშიზმის იდეისკენ დაბრუნება“.

თბილისმა უარყო მოსკოვის ბრალდებები

„ეს მოხსენება შედგენილია იურისტების მიერ, და ისინი (რუსეთის ხელისუფლება) მართლაც უნდა იყვნენ აღშფოთებული, თუმცა, მათ სხვა რამ აშფოთებთ — როდესაც ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობას ვეუბნებით სიმართლეს. ეს მოხსენება საერთოშორისო თანამეგობრობამ აღიქვა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მდგომარეობას რეგიონში.

თუ რუსეთი აღშფოთებულია, სწორედ ამიტომ ვთხოვთ, შეუშვან იქ საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო მონიტორები, ვინაიდან ეს არის შავი ხვრელი“, განუცხადა ჟურნალისტებს 1 იანვარს დავით დონდუამ კარასინის განცხადებასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ რუსეთ- საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა 2008 წელს აღიარა საქართველოს 2 რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა და გადაისროლა იქ დამატებითი ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა ქვეყანა — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

საბერძნეთს ეროვნული ვალუტის დაბეჭდვა არ შეუძლია

ვინაიდან ქვეყანას აღარ აქვს შესაბამისი საბეჭდი მოწყობილობები. ამის შესახებ „ბიბისის“ ცნობით, საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა იანის ვარუფაკისმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, 2000 წელს, როდესაც საბერძნეთი ევროზონას შეუერთდა, მაშინდელმა მთავრობამ დრაჰმის საბეჭდი მანქანები გაანადგურა, ვინაიდან ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქვეყანა საბოლოოდ გადადიოდა ევროპულ ვალუტაზე და ეროვნულ ვალუტას არასოდეს დაუბრუნდებოდა.

საბერძნეთში ეროვნული ვალუტის დაბრუნებისა და ევროზონიდან გასვლის შესახებ ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ. ამის მიზეზი ათენსა და საერთაშორისო კრედიტორებს შორის უთანხმოებაა. ექსპერტების მოსაზრებით, თუ საბერძნეთი ეროვნულ ვალუტას დაუბრუნდა, დრაჰმის ფასი მალევე დაეცემა, რაც ინფლაციის საფრთხეს შექმნის.

ფილიპინების კუნძულებზე გაღადბრუნდა ბორანი, რომელსაც 173 კაცი გადაჰყავდა, დაიღუპა სულ ცოტა 33 კაცი

ბორანი ქალაქ ომროკიდან კამოტსკის კუნძულებისკენ მიდიოდა. მიმდინარეობს სამაშველო-საძიებო სამუშაოები, მთავრობამ უკვე დაადასტურა სულ ცოტა 33 კაცის დაღუპვა 173-დან, რომლებიც ხომალდის ბორტზე იმყოფებოდნენ.

დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში გამოაცხადეს „თვითმმართველობის განსაკუთრებული რეჟიმის“ შემოღებისა და აღგილობრივი არჩევნების შესახებ, რომელიც ოქტომბრისთვისაა დანიშნული

ეს ზომები მიზნად ისახავს მინსკის შეთანხმებათა შესრულებას, აღნიშნავს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ცნობილია, რომ 2015 წლის 18 ოქტომბერს აირჩევენ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს. ამ დროს შენარჩუნებული იქნება ომამდე შემოღებული დასახლებული პუნქტების საზღვრები, თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობათა დასახელებანი.

პეტრო პოროშენკო კონსტიტუციური ცვლილებების ინიციატივით გამოდის

უკრაინული მედიის ცნობით, ცენტრალური მთავრობა დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებს უფრო მეტ უფლებამოსილებას სთავაზობს, თუმცა, პრორუსი მებრძოლების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებს.

დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებისთვის ავტონომიის მინიჭებას მინსკის შეთანხმებაც ითვალისწინებს. „დეცენტრალიზაცია მთავარი ელემენტი იქნება ახალი კონსტიტუციისა, რომელიც ძალაში 2015 წლის ბოლოს შევა, ასევე დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ცალკეულ რაიონებს განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს“, — აღნიშნულია მინსკის შეთანხმებაში. პოროშენკოს თქმით, დეცენტრალიზაცია უკრაინის პოლიტიკურ სისტემას ევროპასთან კიდევ უფრო დააახლოვებს.

საუდის არაბეთის პრინცი გეპირდება, შესწიროს მთელი თავისი ქონება - 32 მილიარდი დოლარი

მილიარდერი ალ-ვალიდ იბნ ტალალი დაგეპირდა, უახლოეს წლებში მთელი ფული გადასცეს თავის საქველმოქმედო ფონდს. ფონდი ამ სახსრებს გაანაწილებს საქველმოქმედო პროექტებს შორის — ჯანმრთელობის, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის და ქალთა უფლებების დაცვის სფეროებში.

„ბიბისი“ 1000 დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნას აპირებს

ამის შესახებ თავად „ბიბისი“ იტყობინება. მაუწყებლის გადაწყვეტილების მიზეზი ბიუჯეტის გარღვევა გახდა, რამაც 150 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწია. კერძოდ, სატელევიზიო მოსაკრებლით მიღებულმა შემოსავალმა დაგეგმილზე 150 მილიონი ფუნტი სტერლინგით ნაკლები შეადგინა.

„ბიბისის“ გენერალური დირექტორი ტონი ჰოლი აცხადებს, რომ სამუშაო ადგილების შემცირება წელიწადში კომპანიას 50 მილიონი ფუნტის დაზოგვის საშუალებას მისცემს. ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები მოქალაქეები იხდიან სპეციალურ გადასახადს — მაუწყებლის მოსაკრებელს. ბოლო პერიოდში კი გაიზარდა ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც აღნიშნულ გადასახადს აღარ იხდიან. ამის მიზეზად ისინი იმას ასახელებენ, რომ ტელევიზორს პირდაპირ ეთერში აღარ უყურებენ.

ბენესის შტატის ქალაქ მერივილიდან 5 000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა

„ენბისის“ ცნობით, ამის მიზეზი ტოქსიკური გაზით დატვირთული მატარებლის ავარია გახდა, რამაც ხანძარი გამოიწვია. შედეგად მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის საშიში, მავნე ნივთიერებები გავრცელდა. ევაკუაციის პროცესი ამ დრომდე მიმდინარეობს.

ადგილობრივი მთავრობის ცნობით, ევაკუირებულებს სახლებში დაბრუნება 48 საათში შეუძლიათ. შემთხვევის ადგილიდან კილომეტრნახევრის რადიუსში კი კარანტინი გამოცხადდა. გავრცელებული ქიმიური ნივთიერებების შესუნთქვამ შესაძლოა, მძიმე დაავადებები გამოიწვიოს. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ქალაქ მერივილის მოსახლეობა 30 000-ია.

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST FOR CONSULTING SERVICES

MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

THE AGRICULTURE MODERNIZATION, MARKET ACCESS AND RESILIENCE PROJECT (AMMAR)

MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA, under the International Fund for Agricultural Development (IFAD) funded The Agriculture Modernization, Market Access and Resilience Project (AMMAR) invites experienced local individuals to express interest for the following position:

VALUE CHAIN COORDINATOR

The Agriculture Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) project of the Government of Georgia, with IFAD funding, aims to raise incomes of smallholder farmers and increase climate resilience through public and private investments in upgrading climate-proof productive infrastructure, enterprises and smallholder farmer production systems and technologies in support of inclusive growth of climate smart agricultural value chains.

The Ministry of Agriculture (MOA) will be the lead executing agency. Project duration will be 4 years and project activities will be organized into two mutually supportive components to accelerate the development of up to six priority climate smart agricultural value chains (VCs), initiated in two batches over the first two years of the project.

The project objectives will be achieved through stimulating complementary private investment along the VC to accelerate systemic changes to upgrade each value chain that cannot be easily achieved by ad-hoc individual private investments. The objective is to increase the aggregate value created within each VC as the basis for increased profits for farmers and agri-businesses alike.

The IFAD initiative will recruit a full time national expert, with a strong background on agriculture, marketing and agricultural economics to undertake the duties of Value Chain Coordinator. S/he will be based in the PIU under the premises of the MoA. S/he will take lead and responsibility for the delivery of the IFAD initiative under the overall supervision of the AMMAR Project Manager and will ensure direct coordination with the stakeholders of the overall IFAD programme at the central and community level. Her/his specific duties will include:

Responsibilities and Tasks

- Manage all VC related activities in coordination with the AMMAR Project Manager in accordance with IFAD guidelines;
- Coordinate VC screening/prioritization process and help to finalize the proposed selection criteria for each targeted regions and VCs;
- Evaluate the most prominent supply chains in the project target areas, assess the strong and weak points of each of them and define clear gaps for project intervention;
- Take part in preparing an upgrading strategy and an action plan for each selected VC and identification of key actors to be involved in multi-stakeholder processes (MSP);
- Organize and facilitate the MSP consultation workshops in the above mentioned regions;
- Undertake intensive consultations and discussions with stakeholders (including farmers, agro processors, traders, etc) on the potential VC in the project target areas;
- Together with AMMAR engineers take part identification of infrastructure projects in selected VCs.
- in collaboration with farmers, processors and traders, national research and extension institutions, identify technology gaps and assist interested stakeholders to develop applied research and demonstration programs acceptable for AMMAR funding;
- in collaboration with the AMMAR Monitoring and Evaluation (M&E) specialist, develop relevant monitoring systems and provide regular progress and impact reporting;
- cooperate with other national and donor assisted supply chain development initiatives in Georgia;
- Participate in designing the Project's matching grant scheme in cooperation with the entity selected to manage the grant component of AMMAR and monitor the performance of the implementing entity;
- Monitor the process of implementing the AMMAR matching grant component and take part in providing technical support to grantees during the course of project implementation;
- Together with GEF Coordinator participate in technology transfer demonstrations;
- Assign any other related task assigned by the AMMAR Project Manager.

Duration of the Assignment

The Value Chain Coordinator will perform the assignment under the present TOR based on a time-based consultancy contract concluded with him/her by the Ministry of Agriculture. The duration of the assignment will be 1 year (including 3-month probation period) renewable based upon a satisfactory performance evaluation.

Reporting

The Value Chain Coordinator will report to the AMMAR Project Manager.

Required Qualification and Experience

- High education in agriculture, marketing, agricultural economics or a related science;
- At least 5 years of working experience at management level in agricultural production or processing operations;
- At least 3 years of working experience with international donors or donor funded projects;
- In depth knowledge of the agriculture situation in the regions of Georgia and with agribusiness across the country;
- Experience of work with research organizers, service providers, Georgian government officials
- Advanced management, organizational and communication skills;
- Responsible and flexible attitude and capable of working with minimum supervision;
- Advanced knowledge of written and spoken Georgian and English;
- Sound knowledge of computer (MS Office, Internet, familiarity with the relevant project management software).
- Excellent interpersonal skills and ability to form and maintain cooperative working relationships with colleagues and stakeholders.

Interested individuals must provide information verifying that they are qualified to perform the services and meet minimum required experience criteria above. Submitted information shall include: (i) Cover Letter and CV of the candidate, including description of similar assignments conducted, (iii) Copies of diplomas, certificates and letters recommendations. Expressions of interest must be delivered to the address below not later than **July 24, 2015, 17:00**.

The Consultant will be selected based on the "Selection of Individual Consultants" procurement method by IFAD Procurement Handbook (issued on 19th of August, 2010).

Interested individuals may obtain detailed information on the assignment at the address below from 12:00 – 16:00 (local time).

MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
Tel/Fax: +995-32-237-66-72
E-mail: Lali.Durmishidze@moa.gov.ge
Tamar.tsintsadze@moa.gov.ge
Ekaterine.gurgenidze@moa.gov.ge

◎ ტელეკომუნიკაცია

ციფრული მაუწყებლობა ჩაირთო

სად და რა ფასად იყიდება „სეტ ტოპ ბოქსები" და რომელი ქართული არხების ყურება შეეძლება მოსახლეობას

საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა. 1 ივლისს, ათი საათიდან, ანალოგური (დღეს მოქმედი) მაუწყებლობა დედაქალაქის სამაუწყებლო ზონაში გაითიშა, რომელიც შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებს აერთიანებს – თბილისი, საგარეჯოს რაიონი, კოჯორი, რუსთავი და მარნეული.

აღნიშნულ არეალში მაყურებელი „სეტ ტოპ ბოქსები"-ს დახმარებით უკვე ციფრულ გამოსახულებას იღებს. ხმისა და გამოსახულების გაუმჯობესების გარდა, ციფრული მაუწყებლობის საშუალებით, მაყურელი ამიერიდან უფრო მეტი ქართული არხის ყურებას შეძლებს.

Ambebi.ge დაინტერესდა, სად და რა ფასად შეუძლიათ მოქალაქეებს „სეტ ტოპ ბოქსები"-ს შეძენა და რომელი ქართული არხების ხილვა შეეძლებათ ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ.

თუკი აქამდე მოქალაქეები საკაბელო თუ ე.წ. სახლის ანტენების საშუალებით, მხოლოდ რამდენიმე ქართულ არხს უყურებდნენ, ამიერიდან ეს სპექტრი ბევრად იზრდება და შესაბამისად, მაყურებელს უფრო მეტი არჩევანი ექნება.

ტელევიზიების ჩამონათვალი, რომლებიც უკვე ვრცელდება ციფრული მაუწყებლობის საშუალებით, ასეთია:

იმედი HD, რუსთავი-2 2 HD, პირველი არხი HD, GDS HD, ტაბულა. HD, იმედი+HD, კომედი არხი HD, მარაო HD, კომედიHD, არტარეა HD, თრიალეთი HD, RGB SD, პალიტრა HD, SILK+ SD, სამეგრელო HD, ზაზანოვა HD, პულსი HD, ობიექტივი HD, ერთსულოვნება HD, ომეგა.

20 ქართულ არხს შორის, რომლებიც უკვე გადავიდნენ ციფრულ მაუწყებლობაზე, ერთ-ერთი „პალიტრა TV"-ა. როგორც Ambebi.ge-სთან საუბარში არხის დირექტორი ინგა დადიანი ამბობს, ციფრული მაუწყებლობის მთავარი უპირატესობა სწორედ მაყურებლისთვის მეტი არჩევანის შეთავაზებაა და ამიერიდან „პალიტრა TV" ერთ-ერთი ის ქართული არხი იქნება, რომელიც იმუშავებს იმისთვის, რომ მაყურებელმა არჩევანი სწორედ მასზე გააკეთოს.

„დღეიდან „პალიტრა TV"-ს ყურება ციფრული მაუწყებლობის საშუალებით კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეეძლება. მოგეხსენებათ, ციფრული მაუწყებლობა სწორედ საზოგადოების მეტ ინფორმირებას და მისთვის უფრო მეტი საინფორმაციო წყაროს შეთავაზებას გულისხმობს. „პალიტრა TV"-ს დღემდე საკაბელო ტელევიზიების საშუალებით ქვეყნის მასშტაბით უკვე ჰყავდა მაყურებელი, თუმცა, ცხადია, მომდევნო პერიოდში დაფარვის არეალი ბევრად გაიზრდება, 2015 წლის 25 აგვისტოს კი მთელ საქართველოს მოვიცავთ. „პალიტრა TV"-ს მსგავსად, დღეიდან მაყურებელი სხვა ისეთ ქართულ არხებსაც იხილავს, რომლთა ყურებას ანტენის მეშვეობით ვერ ახერხებდნენ", – ამბობს ინგა დადიანი.

რაც შეეხება ინფორმაციას „სეტ ტოპ ბოქსები"-ს ფასებსა და ადგილებზე, სადაც მათი ყიდვაა შესაძლებელი, IDFI ავრცელებს.

რა რაოდენობის აპარატურაა შემოტანილი საცალო ვაჭრობის ქსელში და როგორია მათი ფასები? ორგანიზაციის წარმომადგენლები პირადად იმყოფებოდნენ ტექნიკის მაღაზიებსა თუ ბაზრობებზე, შეისყიდეს აპარატურა და შეამოწმეს უშუალოდ მათი რეალიზაციის წერტილებში. მონიტორინგმა ძირითადად მოიცვა თბილისი, თუმცა, IDFI-ს პარტნიორი ორგანიზაციის „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის" დახმარებით მოიძია ინფორმაცია რამდენიმე დიდ ქალაქშიც.

2015 წლის 2 ივნისის მდგომარეობით საცალო ვაჭრობის ბაზარზე უმეტესად ორი ტიპის „სეტ ტოპ ბოქსია" შემოტანილი – Eurostar-ი და TV Star-ი. მისი ფასი 55-65 ლარამდე მერყეობს.

Eurostar-ის წარმოებული სხვა მოდელები დაახლოებით 70-80 ლარი ღირს.

ბაზარზე ასევე წარმოდგენილია Sven-ის ფირმის 95 ლარის ღირებულების „სეტ ტოპ ბოქსები". ეს უკანასკნელი „არაი თუმოროუს" მაღაზიათა ქსელში იყიდება. „ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ" სოციალურად დაუცველი პირებისთვის Konka-ს ფირმის რისივერები შეიძინა. IDFI-ის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში Konka ამ მოწყობილობის შემოტანას საცალო ბაზარზეც გეგმავს.

შედარებით ძვირი – 60-ლარი ღირს მეორე მოდელი TV STAR DVB-T2 525, რომელსაც TV Scart-ის შეერთების შესაძლებლობაც აქვს, სამფერიანი (RCA) კაბელი არც მას უერთდება პირდაპირ, ამისთვის მომხმარებელს დამატებითი გადამყვანი დასჭირდება. გადამყვანის ფასი დაახლოებით ერთი ლარია.

„კიდობანში" 65 ლარი ღირს Eurostar-ის მიერ წარმოებული სეტ ტოპ ბოქსები, რომელსაც უერთდება RCA კაბელი, აქვე იყიდება უფრო ძვირად ღირებული „სეტ ტოპ ბოქსები", რომელთა ფასი 70-80 ლარია.

„კიდობანის" მსგავსად ე.წ. „ლილოს ბაზრობაზეც" ძირითადად Eurostar-ის სეტ ტოპ ბოქსები იყიდება. მისი ღირებულება უფრო იაფი, 65 ლარია.

ზემოთ აღნიშნული TV Star-ის ფირმის „სეტ ტოპ ბოქსები" იყიდება ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტექნიკის მაღაზიებში – „ახალი ელექტრონიქსი" და „ახალი ტექნიკა". რესივერის ფასი აქ 60 ლარია.

ყველაზე ძვირად ღირებული Sven-ის ფირმის „სეტ ტოპ ბოქსებს" (ხელმისაწვდომია „არაი თუმოროუს" მაღაზიებში), რომლის ფასი 95 ლარია, მოჰყვება როგორც სამფერიანი (RCA), ასევე HDMI მისაერთებელი. თუმცა, მაღაზიის წარმომადგენელთა განცხადებით, მარაგი ამ ეტაპზე ამოწურულია.

რა რისკი ახლავს თან თბილისი 2015-ის ჩატარებას?

„მთავარია, საქართველომ სტუმრებს ღირსეულად უმასპინძლოს და ფესტივალისგან მოგებაც მიიღოს“

26 ივლისიდან 2 აგვისტომდე თბილისმა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უნდა უმასპინძლოს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ღონისძიება ჩვენს ქვეყანაში ტურისტების მომრავლებას და უცხოური ვალუტის შემოდინებას შეუწყობს ხელს, თუმცა, ისტორიას საპირისპირო ფაქტებიც ახსოვს, როდესაც სახელმწიფომ ზუსტად ვერ გათვალა მოსალოდნელი ხარჯები და მოგების ნაცვლად წაგებული დარჩა. ამის კარგი მაგალითია პეკინის 2008 წლის ოლიმპიადა, რომლის ორგანიზებისთვის 1,6 მილიარდი დოლარი იყო დაგეგმილი, მაგრამ საბოლოო დანახარჯებმა 40 მილიარდს მიაღწია, ასევე — 2014 წლის სოჭის ოლიმპიადა, რომლის ჩატარებაც რუსეთს წინასწარ დაგეგმილი 12 მილიარდის ნაცვლად 30 მილიარდი დაუჯდა. მსგავსი რამ არაერთხელ მომხდარა და ბუნებრივია, მოსალოდნელი ზარალის რისკი ჩვენთანაც არსებობს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, თბილისში ოლიმპიადის სტუმრებისთვის განკუთვნილი საწოლი ადგილების რაოდენობა 7 400-ს აჭარბებს, თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ გაცილებით მეტი სტუმარი გვეყოლება. ზოგიერთი ვერსიით, შესაძლოა ვიზიტორთა რაოდენობამ 10 000-საც გადააჭარბოს. ამ ადამიანებს ღირსეული დახვედრა სჭირდებათ, ამიტომ მათი მიღებისა და განთავსების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია. შეძლებს კი ჩვენი დედაქალაქი სტუმრებს ღირსეულად უმასპინძლოს და ამავე დროს, ფესტივალისგან მოგებაც მიიღოს?

ფესტივალის სტუმრების სოლიდური ნაწილი „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ აშენებულ ოლიმპიურ სოფელში დაბინავდება. როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თიკო შიშინაშვილი** ამბობს, ოლიმპიურ სოფელში მთავარი სამუშაო უკვე დასრულებულია.

„თბილისი 2015 თანდათან ახლოვდება და ამ ღონისძიებისთვის ჩვენ საგულდაგულოდ ვემზადებით. 3 800 სპორტსმენს ველოდებით. სტუმრებს უნდა დავახვედროთ ოლიმპიური სოფელი, სადაც მათთვის უკვე მზად არის საცხოვრებელი ბინები და ინფრასტრუქტურა. მათი ბინების კეთილმოწყობა თითქმის დასრულებულია და ახლა საბოლოო დეტალების დახვეწა მიმდინარეობს. სულ მალე ცხრა კორპუსი გადაეცემა ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც ამ კორპუსებს საჭიროების მიხედვით გამოიყენებს. ბინები უკვე აღჭურვილია ავეჯით, თეთრეულით და ყველაფრით, რაც საჭიროა. ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ოლიმპიურმა კომიტეტმა დაგვიკვეთა - პირველ სართულზე განთავსებულია ოფისები, საკონფერენციო ოთახები. ამავე ტერიტორიაზე იქნება მედპუნქტი, ასევე 2 ათას ადამიანზე გათვლილი რესტორანი, საცურაო აუზი და 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო. რასაკვირველია, ფესტივალის ყველა სტუმარი აქ, ოლიმპიურ სოფელში ვერ დაბინავდება, მაგრამ მათი მიღება და დაბინავება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეროგატივაა“, — აღნიშნა თიკო შიშინაშვილმა.

თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანიც აცხადებს, რომ ოლიმპიადისთვის მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და ყველაფერი რიგზეა. მისი თქმით, თბილისი მზად არის, მაღალ დონეზე უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს. მიუხედავად 13 ივნისის ტრაგედიისა, ფესტივალი სტიქიას გადაურჩა.

„დროზე ესწრება ახალი სპორტის სასახლე, სადაც ხელბურთის შეჯიბრებები ჩატარდება. ამჟამად ყველა სპორტული სარბიელი პრაქტიკულად დასრულებულია. მართალია, იყო მცირე დაზიანებები, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდა“, — აღნიშნა ალექსი ახვლედიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ეკონომისტებიც მიიჩნევენ, რომ თუ ყველაფერს სწორად გავთვლით, ფესტივალი სასიკეთოდ იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი ტურიზმს გამოაცოცხლებს. მათ შორისაა ექსპერტი **სოსო არჩვაძე**.

„დავიწყოთ იმით, რომ ნებისმიერი ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის ცნობადობას. შესაბამისად, მსოფლიოში ამ ქვეყნისადმი ინტერესიც იზრდება. სპორტულ ღონისძიებებს თან ახლავს ტურიზმის განვითარება, რაც დადებითი ეფექტის მომტანია. გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეს ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის წინსვლას გულისხმობს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში არსებულმა ზოგადმა ფონმა შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს სარგებელი, რასაც ამ ოლიმპიადისგან ველოდებით. მე გაგახსენებთ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას, რომელიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ დაიწყო. მაშინ ამ ოლიმპიადას ბევრმა ქვეყანამ ბოიკოტი გამოუცხადა და საბჭოთა კავშირს რა სარგებელიც უნდა მიეღო, იმის ნახევარიც ვერ მიიღო, ამიტომ, სასურველია, რომ აქ ჩამოსულ სტუმრებს ქვეყანაში თბილი და ჯანსაღი სიტუაცია დახვდეთ“, — განუცხადა bpn-ს სოსო არჩვაძემ.

მისივე თქმით, ზამთრის ოლიმპიადები გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ზაფხულისა იმიტომ, რომ ზამთარში დანახარჯი ერთ სპორტსმენზე ან ერთ ტურისტზე გაცილებით მეტია, თუმცა, ამჟამად ჩვენი ხარჯები არც ისე დიდია, რომ ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს, ამიტომ ყველაზე მთავარი სწორი გათვლებია.

„ადამიანი სახლიდან რომ გადის, მაშინაც უნდა დაითვალოს, რა თანხა უდევს ჯიბეში და რისი საშუალება აქვს. ჩვენმა სახელმწიფომაც ყველაფერი უნდა დათვალოს და თუ ეს ოლიმპიადა მოგებას ვერ მოგვიტანს, მაშინ აუცილებლად უნდა გამოვძებნოთ რესურსები, რომლითაც მიყენებულ ზარალს შევავსებთ. რასაკვირველია, სტუმრების დაბინავებაც სერიოზული საკითხია, რადგან თბილისს ისედაც აქვს პრობლემები სასტუმროებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მე არა მგონია ეს პრობლემა შეიქმნას: ვფიქრობ, რომ კერძო სექტორიც მიიღებს მონაწილეობას მათ დაბინავებაში. სტუმარი ღვთისაა — ამბობენ საქართველოში; ჩვენთან სტუმრის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულებაა და არა მგონია მათი მიღება და მასპინძლობა გაგვიჭირდეს. მთავარია, ინფრასტრუქტურა და სერვისები იყოს სათანადოდ მოწესრიგებული. ამასთანავე, ჩვენგან საგანგაშო ცნობები არ უნდა გადიოდეს. სტუმრებს ის კი არ უნდა ეგონოთ, რომ თბილისის ცენტრში ვეფხვები და ბეჰემოთები დასეირნობენ, არამედ მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს უძველესი კულტურა, ტრადიციები და აქ ბევრი რამის ნახვა და დათვალიერება შეიძლება. ახლა მთელი საზოგადოება უნდა მოემზადოს, რომ ფესტივალის სტუმრების მიმართ თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულება ჰქონდეს და ყველაფერმა კარგად ჩაიაროს“, — განაცხადა სოსო არჩვაძემ.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ პატივგება

ღირსებით შემკული

გუშინ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე იყო. მართალია, ამასწინანდელი სტიქიური უბედურების გამო ნამდვილად არ გვეზეიმება, მაგრამ ტრადიციას არ ეღალატების და მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღინიშნა პროფესიული დღესასწაული. ბუნებრივია,

კალმოსანთა ჰამქრის რჩეულნიც დაჯილდოვდნენ ქართული სპორტული მედიის მესაძირკვლეთა სახელობის პრემიებით.

საამაყოა, რომ მათ შორისაა ჩვენი ძვირფასი კოლეგა, ფუტკარივით გამრჯე პუბლიცისტი და ხალასი პიროვნება **ვაჟა დანელია,** რომელიც ამიერიდან ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიის ლაურეატიც გახლავთ. მორიგი დაფასების შემდეგ ჩვენი რედაქციის ღირსეულ წევრს გავესაუბრეთ:

— ჩემთვის ეს მართლაც ძვირფასი ჯილდოა. უკვე 40 წელიწადია, რაც „ლელოს“ კარი შევაღე და სიმბოლურია, რომ ერთ-ერთმა პირველმა გზა საყვარელ სამყაროში სწორედ ბატონმა ნოდარმა დამილოცა. ეტყობა, ეს მეკვლეობა ფეხბედნიერი გამოდგა, რადგან განვლილი ათწლეულების განმავლობაში სპორტულ თემაზე უამრავი წერილი, ნარკვევი, ინტერვიუ და 12 წიგნი გამოვაქვეყნე. აღარაფერს ვამბობ ათენის ოლიმპიადიდან და სხვა უმაღლესი რანგის ტურნირებიდან გადმოცემულ რეპორტაჟებზე. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და გუშინდელ პროფესიულ დღესასწაულთან ერთად მათი ნაღვაწის დაფასებას ვულოცავ დანარჩენ ლაურეატებსაც.

— ერთი კვირის წინათ თქვენი რედაქტორობით ახალი საჭადრაკო ჟურნალი გამოიცა...

— სხვადასხვა დროს „ლელოსა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭადრაკო დამატებები გამოდიოდა. ორი წელიწადი იარსება საჭადრაკო ჟურნალმა თენგიზ გიორგაძის თავკაცობით. ბოლო 16 წელიწადია ნონასა და მაიას სამშობლოში ანალოგიური გამოცემები აღარ გვქონია, ამიტომ ჭადრაკის ფედერაციის თანადგომით ეს ვაკუუმი ამოვავსეთ — დავაფუძნეთ ჟურნალი „საჭადრაკო სამყარო“, რომელიც ყოველკვარტალური იქნება...

გუშინვე ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩვენი სპორტული ჟურნალისტიკის აღიარებული რეფორმატორის, სახელოვანი მოფარიკავის არჩილ გოგელიას წიგნი „ბილიკი“ წარადგინა. წიგნიერი საზოგადოებისათვის ეს კრებული შესანიშნავი საჩუქარია ავტორისაგან, რომელსაც გაისად 75 წელი უსრულდება.

გიორგი შოთაძე

◎ რა ეჩქარებათ...

ბილეთების გაყიდვა ჯერჯეროობით არ დაიწყება

ევროპის 2015 წლის სუპერთასის ბილეთების გაყიდვით გამოწვეული აჟიოტაჟი ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. გადაწყვეტილია, რომ 22 ათასი ბილეთი სალაროებში გაიყიდება, თუმცა, ჯერჯეროობით ცნობილი არაა, როდიდან და კონკრეტულად რომელ სალაროებში დაიწყება ბილეთების რეალიზება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სოციალურ ქსელში სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ამ დროისთვის გრძელდება სამუშაო შეხვედრები სფფ-ში სხვადასხვა უწყებებთან. გარდა ამისა, სფფ-ს წარმომადგენლები შეხვდებიან biletebi.ge-ს წარმომადგენლებს და გადმოიბარებენ ბილეთების სრულ მონაცემებს, მყიდველების შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

ფეხბურთის ფედერაციაში ამბობენ, რომ ბილეთების გაყიდვა არც მიმდინარე კვირაში და არც მომდევნო კვირის დასაწყისში არ დაიწყება. გულშემატკივარს ყველა დეტალზე ამომწურავი ინფორმაცია მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ ექნება.

ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს სთხოვს, დაეყრდნოს მხოლოდ ოფიციალურ ინფორმაციას.

ამ დროისათვის ქართველებისთვის 2 ათას ბილეთზე მეტია გაყიდული.

კობა კობახიძე

◎ მოვლენის წინ

მსოფლიოზე „ბორჯღალოსნების“ მატჩს პლანეტის ერთ-ერთი გამორჩეული მსაჯი გაუძღვება

მსოფლიო თასამდე 79 დღით ადრე ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ჯგუფური ეტაპის მსაჯების და თანამსაჯების ვინაობა დაასახელა.

რაგბიში მსაჯების როლი დიდია და მწვრთნელები სათამაშო ტაქტიკის შერჩევისას ხშირად მსაჯთა შემადგენლობასაც ითვალისწინებენ. 18 სექტემბერს ტურნირის გახსნის შეხვედრას ინგლისისა და ფიჯის ნაკრებებს შორის სამხრეთაფრიკელი ჯაკო პეიპერი უმსაჯებს.

საქართველოსა და ტონგას შეხვედრას, რომელიც 19 სექტემბერს გლოსთერში გაიმართება, სარაგბო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეფერი, უელსელი ნაიჯელ ოუენსი მოემსახურება. მას ასევე უელსელი ლეიტონ ჰოჯესი და ახალზელანდიელი ქრის ფოლოქი დაეხმარებიან.

25 სექტემბერს საქართველოსა და არგენტინის შეხვედრას ინგლისელი ჯეი ფი დოელი გაუძღვება, რომელმაც 2014 წელს საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებებს შორის გამართული ტესტ-მატჩი იმსაჯა. მას კიდეებიდან ზემოთნახსენები ნაიჯელ ოუენსი და სამხრეთაფრიკელი სტიუარტ ბერი დაეხმარებიან.

2 ოქტომბერს „ბორჯღალოსნები“ კარდიფში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ახალ ზელანდიას შეხვდებიან. რეფერი ფრანგი პასკალ გოზე იქნება, რომელმაც 2014 წლის ნოემბრის ტესტებზე თბილისში საქართველოსა და ტონგას შეხვედრა განსაჯა. მისი ასისტენტები არგენტინელი ანგუს გარდნერი და ფრანგი მეთიუ რეინალი არიან. ამ უკანასკნელმა ახლახანს თბილისის თასზე საქართველოსა და „მზარდი ირლანდიის“ შეხვედრა იმსაჯა.

და ბოლოს, 7 ოქტომბერს, ექსეტერში, საქართველოსა და ნამიბიის ნაკრებების შეხვედრის მთავარი მსაჯი ირლანდიელი ჯორჯ ქლანზი იქნება, რომელსაც ქართველთა მატჩი ორჯერ განუსჯია. ოთხი წლის წინათ, მსოფლიო თასზე, ის „ბორჯღალოსნების“ შოტლანდიასთან მატჩს მსაჯობდა, ხოლო 2013 წელს სან ხუანში არგენტინისა და საქართველოს ნაკრებების ტესტ-მატჩს მოემსახურა. მისი პირველი ასისტენტი ფრანგ ირომან პუატიე იქნება, რომლის მსაჯობითაც ქართველებმა ტესტ-მატჩებში სამოასა და იაპონიის ნაკრებები დაამარცხეს. მეორე თანამსაჯი სამხრეთაფრიკელი სტიუარტ ბერია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფოტოფაქტი

რომის პაპ ფრანცისკს ლათინური ამერიკის ქვეყნებში — პარაგვაიში, ეკვადორსა და ბოლივიაში ელიან. სწორედ ამ ღირსშესანიშნავი შეხვედრისათვის ბოლივიელი მხატვარ-დიზაინერი პაპის ორიგინალურ თოჯინას ქმნის.

◎ კრიმინალი

რეინჯერი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უბნის უფროსი რეინჯერი ნიკოლოზ გელაშვილი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ნიკოლოზ გელაშვილმა თავის დაქვემდებარებაში არსებული ბორჯომ-ხარაგაულის ტყის ფონდის ტერიტორიიდან უკანონოდ საშეშე მორის მოჭრის სანაცვლოდ, მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 300 ლარი.

სულთათანა

დალი ლორია

შენი სიცოცხლე დიდი ნიჭის გაბრწყინება და ღირსეული შვილების აღზრდა იყო. შენი სიცოცხლე ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ვაჟკაცის დედობა და მასთან შეხვედრის უდიდესი მონატრებაც იყო...

შენ სათნო, კეთილშობილი, ალალმართალი, ყველასგან გამორჩეული ქალბატონი იყავი. სულგრძელსა და გულმართალს გულმა გიმტყუნა...

ბევრი ტკბილი წუთი და მოგონება დაგვიტოვე, რომელსაც წლები ვერ გაიფერმკრთალებს. შენი ლამაზი გაკვეთილების ხიბლი დიდხანს გაჰყვებათ შენს მოსწავლეებსა და კოლეგებს, აკი ერთმა ჩვენმა კოლეგამ ინატრა კიდეც: — დალი მასწავლებელო, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი თქვენი მოსწავლეო...

შენ გვერდით ყოფნა უდიდესი ბედნიერებაც იყო და, ამავდროულად — დიდი პასუხისმგებლობაც, შენ ხომ მოძღვართ-მოძღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი იყავი, არასოდეს დაგივიწყებენ შენს ლამაზ გაკვეთილებზე აღზრდილი მოსწავლეები და შენს პროფესიონალიზმს ნაზიარები კოლეგები.

შენი ამქვეყნიური ცხოვრება იმის მაგალითი იყო, როგორ უნდა გვეცხოვრა, გვეშრომა, გვყვარებოდა და ვყვარებოდით.

ძალიან გვიმძიმს შენთან განშორება, ყოველთვის გაგიხსენებთ, მოგვენატრები და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის!

ალალი იყოს ის ცრემლები და ყვავილები, ასე უხვად რომ ეფრქვევა შენს გულს.

„სამარემ პირი დაიბანა
მწუხარე დედის ცრემლებითა,
მიწამაც შვილი შეგინახა,
შენ რომ შესჩიოდი ვედრებითა“...

პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის პედაგოგები

მეუღლე ბელა დურგლიშვილი, შვილები თეონა, ეკატერინე ლომთაძეები, რძალი მარინა ახალაძე, ძმისწული მამა დავითი (კახაბერ ლომთაძე) ოჯახით, სიძე ნუგზარ ჭულუხაძე, დისწული თამარ ჭულუხაძე ოჯახით, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ კირილეს ძე ლომთაძე

პანაშვიდი 2, 3 VII, დაკრძალვა 4 VII, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის II მ/რ. I კვარტალი, I კორპუსი, III სართული, ბინა 9.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულწრფელად უსამძიმრებენ თავიანთ კოლეგასა და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, უკეთილშობილეს ქალბატონს ბელა დურგლიშვილს მეუღლის

ანზორ ლომთაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

თამაზ, მარინა შილაკაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ და

ასინეთ (ნონა) შილაკაძე

პანაშვიდი 3, 4 VII, ცინცაძის ქ. №50 (ყოფილი საბურთალოს ქ. 44), II სადარბაზო, IV სართული. გამოსვენება 5 VII, 14 სთ. სახლთან მდებარე წმინდა ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარსა და ავტორს, საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერ-მეგზევეს, პროფესორ თამაზ შილაკაძეს დის

ასინეთ (ნონა) შილაკაძის

გარდაცვალების გამო.

◎ მკურნალობის ტექნოლოგია

მოთმენა არ შეიძლება!

რა უნდა ვიცოდეთ ტკივილგამაყუჩებლების შესახებ

მათთვის, ვისაც ტკივილის ქრონიკული სინდრომი აწუხებს, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები მუდმივი თანამგზავრები ხდებიან. რამდენად უსაფრთხოა ეს პრეპარატები მათი რეგულარულად მიღებისას? და შეიძლება თუ არა თანმხლები ეფექტების თავიდან აცილება?

ტკივილის ქრონიკული სინდრომი, რომელსაც დღესდღეობით ყოველი მეხუთე ევროპელი უჩივის, არა მარტო სამედიცინო, არამედ ძალიან დიდი სოციალური პრობლემაცაა. ბევრ პაციენტს იგი ოცი და მეტი წლის მანძილზე აწუხებს, მათ შორის მესამედს ტკივილები მთელი წლის განმავლობაში დღედაღამ მოსვენებას არ აძლევს. ცნობილია, რომ სწორედ ამის გამოა, რომ ამ პრობლემის მქონე ყოველი მეხუთე ადამიანი სამსახურს კარგავს, ბევრს დეპრესია უვითარდება, ერღვევა ძილი, უმძაფრდება გულის სისხლძარღვთა დაავადებები. ხანგრძლივი ძლიერი ტკივილი პათოლოგიური აღგზნების კერებს აყალიბებს, რომლებიც ორგანოებსა და ქსოვილებში არსებულ დაზიანებებს აუარესებენ.

ამიტომ ექიმებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა არა მარტო ტკივილის მიზეზთა (ოსტეოქონდროზის, ართრიტის, ართროზის), არამედ თავად ტკივილის სინდრომის მკურნალობაც. ტყუილად როდია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა რეცეპტურულ საშუალებებს შორის, ტკივილგამაყუჩებლების წილი 95 პროცენტია. მთელ მსოფლიოში კი ამ პრეპარატებს 300 მილიონზე მეტი კაცი მოიხმარს.

ტკივილის მოსახსნელად მრავალი პრეპარატი არსებობს, მაგრამ სხვებზე ხშირად ამ მიზნისთვის არასტეროიდულ ანთებითსაწინააღმდეგო საშუალებებს იყენებენ, რომლებიც ყველაზე ეფექტიან და ნაცად პრეპარატებაა მიჩნეული. ისინი არა მარტო აყუჩებენ ტკივილს, არამედ ანთებით პროცესსაც აქრობენ. სამწუხაროდ, ამ ტიპის წამლების დიდი ხნის განმავლობაში მიღებას, თანაც მათი ფორმის, ვთქვათ, აბების, სანთლებისა თუ ინიექციების სახით, შესაძლოა, მეტად სახიფათო შედეგი მოყვეს.

როცა პაციენტი ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს დროდადრო იღებს, ვთქვათ, ტრავმის მიღების ან კბილის ტკივილის შემთხვევაში, წამლის უსაფრთხოების პროფილი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. მაგრამ მათ, ვისაც ქრონიკული ტკივილები აწუხებს, ამ პრეპარატების მიღება რეგულარულად უწევს, საკუთარი თავის პოტენციური გართულებებისგან დასაცავად, აუცილებელია იცოდეთ, რომ:

- **უნდა მოიხმაროთ ყველაზე უსაფრთხო და ქმედითი პრეპარატი ყველაზე მცირე, ეფექტიანი დოზირებით;**
- **უარი უნდა თქვათ ერთბაშად ორი ან სულაც რამდენიმე ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის მიღებაზე;**
- **წამალი უნდა მიიღოთ აუცილებლად ჭამის შემდეგ და მას ბევრი წყალი მიაყოლოთ;**
- **პარალელურად უნდა მიიღოთ გასტროპროტექტორები, რომლებიც იცავენ კუჭს მავნე ზემოქმედებისგან;**
- **აუცილებელია ქელიკობაქტერიული ინფექციის განკურნვა, თუკი ასეთი გაქვთ;**
- **დაიცვათ დიეტა, რომელიც კუჭის წყლულით დაავადებულთათვისაა რეკომენდებული, რისთვისაც დაიცვათ კვების რეჟიმი და იკვებოთ ხშირად, ოღონდ ცოტ-ცოტა.**
- **არ მოსწიოთ თამბაქო და მოერიდეთ ალკოჰოლიან სასმელებს.**

რაც შეეხება ტკივილგამაყუჩებელ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსანიშნავია სალბუნები, რომლებიც სამკურნალო პრეპარატების დანიშნულების ადგილამდე „ტრანსპორტირების“ მხრივ ყველაზე უსაფრთხონი არიან. მათ დადებით მხარეებს შორისაა, კერძოდ:

- **უწყვეტობის უზრუნველყოფა (ძილის დროსაც კი);**
- **მოხერხებულობა ბავშვის მკურნალობისას, რომელთა დაყოლიება მწარე წამლის დალევაზე ძნელი საქმეა;**
- **მომყოლი ეფექტების სიმცირე (კერძოდ, კუჭ-ნაწლავთა სისტემაზე).**

და მაინც, ვიდრე ტკივილგამაყუჩებელ სალბუნს მოიხმარდეთ, უმჯობესია, ექიმს მიმართოთ, მით უმეტეს, თუ:

- **ტკივილი დღითი დღე გემატებათ;**
- **მას ახლავს სიცხის აწევა, სხეულის მასის შემცირება, ფეხებში სისუსტის შეგრძნება, პრობლემები შარდვასა და კუჭის მოქმედებასთან.**

ზვიადი

◎ კარიკატურისტის თვალით



ამირან ერაძის ნახატი.

რედაქცია
29 3-37-87;
568 82-09-84.

◎ ინფორმაცია

წყალსადენის ქუჩაზე ასფალტი დააგეს

თბილისის მერიის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მიწის ზედაპირი 4 822 კვ.მ. ფართობის გზის მონაკვეთზე მოიჭრა და დამუშავდა. მოიხსნა დაზიანებული ასფალტი და გრუნტი; დაიყარა და მოიტკეპნა ინერტული მასალა; მოეწყო ბორდიურების ახალი ზოლი და დაიგო 849 კვ.მ. 3 სმ სისქის ტროტუარი. შემდეგ დაიგო ორფენიანი, 6 და 4 სმ-ის სისქის ასფალტის საფარი. ქუჩის სიგრძე 630 მეტრია.

პროექტის განსახორციელებლად გამგეობამ ბიუჯეტიდან 351 902 ლარი გამოყო. სამუშაო პროცესი, ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,გზამშენი-2“-მა აწარმოა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები გლდანის რაიონის გამგებელმა ბესიკ ქარცივაძემ, გამგებლის მოადგილე გია თულაშვილმა და გამგეობის ინფრასტრუქტურის განყოფილების თანამშრომლებმა შეამოწმეს.

◎ გამოცდები, გამოცდები

წარმატებას გისურვებთ, ჩვენო მომავალო!





კიდევ ერთი საგამოცდო ციებ-ცხელების დღეები დაიწყო გუშინ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა წლების მანძილზე შეძენილი ცოდნისა და შრომის ერთგვარ „ანგარიშს“ აბარებს მომთხოვნ, ობიექტურ პედაგოგებს, თუმცა კი გამოცდები ყველა საგანში, როგორც ვიცით, ტესტებით ტარდება.

აბიტურიენტთა და მათ მრავალრიცხოვან გულშემატკივართათვის როგორც საგამოცდო სივრცეში, ასევე საგამოცდო კორპუსებთან ყველა პირობაა შექმნილი – მორიგეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი განწესები, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადები, ორგანიზებულია გამაგრილებელი სასმელებითა და სწრაფი კვების პროდუქტებით ვაჭრობა, მოწყობილია დასასვენებელი ადგილები.

წარმატებას ვუსურვებთ საკუთარი თავისა და ქვეყნის მომავლისთვის ესოდენ მნიშვნელოვან გზაზე შემდგარ ყველა ახალგაზრდას!

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ავტობუსში ცოლი ქმარს ლანძღავს:

– შე მართლა ულაყო, მექალთანევ, წუწკო, არც ერთ ქალს არ უშვებ ხელიდან!

გვერდით მდგომი ქალი ინტერესდება:

– მაპატიეთ, მაგრამ ქმარს ლანძღავთ თუ რეკლამას უწევთ?

* * *

ექთანი პაციენტს ეუბნება:

– თუ გინდათ, რომ ექიმს პატივის სცეთ, გააკეთეთ ეს ოპერაციამდე, თორემ მერე შეიძლება გვიანი იყოს.

* * *

ფაბრიკის დირექტორი დაბეჭდილ ანგარიშს ამოწმებს და პირად მდივანს ეკითხება, რამდენი ნულით იწერება მილიონიო.

– ექვსი ნულით.

– ნახევარი მილიონი?

– სამი ნულით.

* * *

– **კოლია**, შენს ძაღლს აქვს საგვარეულო ხე?

– რა თქმა უნდა! საფუნთუშის გვერდით, მარჯვნიდან მეორე ხე!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24